# ახალი განათლება

25-31.10.2018

№31 (825) გამოდის 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge


## ელიზაბეთ რუდი ჩიბათის სკოლაში



გვერდი 4

## განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ENQA-ს წევრობისთვის ემზადება

*გვესაუბრება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გიორგი ვაშაკიძე*




გვერდი 3


### პედაგოგთა დასახმარებლად




ფასი – 10 ლარი




ფასი – 12 ლარი




ფასი – 10 ლარი


*სამოდელო გაკვეთილი*

## გაკვეთილი მოსაწყენი რომ არ გახდეს...

გვერდი 6

## *Hüquqşünas məsləhəti*

## იურისტის კონსულტაცია

## *Իրավաբանի խորհրդատվություն*

გვერდი 8

*მშობელთა კრება*

## გაზიარებული ყურადღება

გვერდი 10

# ახალი უმაღლესი სასწავლებელი

## აცხადებს კონკურსს

## ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად

❖ სასწავლებლის პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს, არანაკლებ, 6 (ექვსი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

❖ სასწავლებლის ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, 4 (ოთხი) წლის ვადით, შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს, არანაკლებ, 3 (სამი) წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება.

**კონკურსი გამოცხადდეს 2018 წლის 23 ოქტომბერს.
საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2018 წლის 26 ნოემბრიდან 2018 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.
საკონკურსო მასალების განხილვა კომისიის მიერ და კონკურსის შედეგების საჯაროდ გამოქვეყნება მოხდეს, არაუგვიანეს, 2018 წლის 5 დეკემბრისა; აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებები გაფორმდეს კონკურსის შედეგების გამოქვეყნებიდან, არაუგვიანეს, სამი კვირისა.**

**კონკურსი გამოცხადდეს ბიზნესის, სამართლისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შემდეგი მიმართულებით:**

**ბიზნესის ადმინისტრირება:**
*პროფესორი* – 3 საშტატო ერთეული;
*ასოცირებული პროფესორი* – 3 საშტატო ერთეული.

**სამართალი:**
*პროფესორი* – 1 საშტატო ერთეული;

**საერთაშორისო ურთიერთობები:**
*პროფესორი* – 2 საშტატო ერთეული;
*ასოცირებული პროფესორი* – 1 საშტატო ერთეული.

**ინფორმატიკა:**
*ასოცირებული პროფესორი* – 2 საშტატო ერთეული.

**აკადემიურ თანამდებობაზე ასარჩევმა კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:**

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე (დადგენილი ფორმის მიხედვით);
ბ) კონკურსანტის ანკეტა (დადგენილი ფორმის მიხედვით);
გ) პირადობის მოწმობის ასლი;
დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი (უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ე) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი (შესაბამის სფეროში) კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი – ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);
ვ) გამოქვეყნებული შრომების სია ბოლო 10 წლის განმავლობაში;
ზ) ავტობიოგრაფია CV;
თ) 1 ფოტოსურათი 3x4-ზე;
ი) შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსი/სილაბუსები.

**საკონკურსო დოკუმენტების მიღება 2018 წლის 26 ნოემბრიდან 2018 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით, 10.00-დან 17.00 საათამდე, ახალი უმაღლესი სასწავლებლის კანცელარიაში.
მისამართი: თბილისი, ჭყონდიდელის №26 (პირველი სართული, კანცელარიის ოთახი)**

**ახალი ამბები**

# შეხვედრა „Erasmus+“-ის ეროვნულ ოფისში

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **მიხეილ ბატიაშვილი** „Erasmus+“-ის ეროვნულ ოფისში, უნივერსიტეტების, პროფესორებისა და სტუდენტებისთვის გამართულ ტრადიციულ საინფორმაციო ღონისძიებაზე სიტყვით წარდგა. მან აღნიშნა, რომ „Erasmus+“ საქართველოსთვის სამაგალითო პროგრამაა, რომელიც ევროპასთან საერთო აკადემიურ სივრცეში ინტეგრაციის საუკეთესო მაგალითს გვიჩვენებს.

„Erasmus+“-ის პროგრამაში საქართველოს 40 უმაღლესი სასწავლებელია ჩართული. განხორციელებული პროექტებისა და სასტიპენდიო პროგრამების მხრივ, საქართველო, პარტნიორ ქვეყნებს შორის, ერთ-ერთი მოწინავეა.

მინისტრმა უმნიშვნელოვანესი უწოდა იმ ფაქტს, რომ საქართველოსთვის, რეგიონული ბიუჯეტის გარდა, „Erasmus+“ პროგრამის განხორციელებისთვის, დამატებით, ექსკლუზიურად 6 მილიონი ევრო გამოიყო, რაც მეტ პროექტს და, დაახლოებით, 800-ით მეტ სტიპენდიანტს ნიშნავს.

*„განსაკუთრებით სასიხარულოა ის ფაქტი, რომ იზრდება არა მხოლოდ ქართველი სტიპენდიანტების, არამედ საქართველოში ჩამოსული ევროპელი სტუდენტებისა და პროფესორების რაოდენობა.*



*სახელმწიფომ შექმნა ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ მეტმა ქართველმა სტუდენტმა მიიღოს ევროპული განათლება და გამოცდილება, ევროპულ ღირებულებებს ეზიაროს“* – განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა სიტყვით გამოსვლისას.

# ქვეყნის „ოქროს ფონდი“

17 ოქტომბერს „განათლების საერთაშორისო ცენტრის კურსდამთავრებულთა ასოციაციის“ დაფუძნების ოფიციალური ცერემონია გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ განათლების საერთაშორისო ცენტრის 2018 წლის კურსდამთავრებულები და ცენტრის სხვადასხვა სასწავლო სასტიპენდიო პროგრამების ბენეფიციარები. ასოციაციის დამფუძნებლებმა მათ ასოციაციის წესდება, მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები გააცნეს.

*„ჩვენი ქვეყნის „ოქროს ფონდს“ ეს ახალგაზრდები წარმოადგენენ, მათი განათლება და ენთუზიაზმი მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის.“* – განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

გაიმართა, ასევე, ასოციაციის „მრჩეველთა საბჭოს“ წევრების წარდგენა და დაფუძნების დოკუმენტზე ხელმოწერის ოფიციალური ცერემონია. მრჩეველთა საბჭოს წევრები გახდნენ სამთავრობო და არასამთავრობო დაწესებულებების, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები: **მიხეილ ბატიაშვილი** – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი; **მაია ცქიტიშვილი** – ვიცე-პრემიერი, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი; **მიხეილ ჩხენკელი** – პრემიერ-მინისტრის მრჩეველი განათლების საკითხებში; **ლევან დავითაშვილი** – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი; **ნინო ჭელიძე** – განათლების საერთაშორისო ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი; **ნინო ზამბახიძე** – ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარე; **საბა ბუაძე** – ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის ანტიკორუფციული მიმართულების ხელმძღვანელი; **სოსო გალუმაშვილი** – საკონსულტაციო კომპანიის „ჯეპრა“ პარტნიორი; **ჟან ფრედერიკ პოლსენი** – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.

**ასოციაციის მისიაა** სახელმწიფოს განვითარების სტრატეგიული ხელშეწყობა კურსდამთავრებულთა ჩართულობით, გამოცდილების გაზიარების, ინსტიტუტების განვითარების, პრიორიტეტული პროექტების განხორციელების, კავშირების



დამყარებისა და გაძლიერების გზით.

**ასოციაციის მიზანია:** კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნა და გაძლიერება; ასოციაციის წევრთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა; განვითარებაზე ორიენტირებული კვლევებისა და კონსულტაციების განხორციელება; საზღვარგარეთ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გამოყენებით საზოგადოებრივი სიკეთის შექმნა.

**ასოციაციის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:**

❖ განათლება და მეცნიერება;
❖ ეკონომიკური განვითარება;
❖ ადამიანის უფლებები;
❖ კულტურა;
❖ საერთაშორისო ურთიერთობები;
❖ გარემოს დაცვა;
❖ რეგიონული განვითარება.



ინტერვიუ

# განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ENQA-ს წევრობისთვის ემზადება

*საქართველოს ევროპასთან ასოცირების დღის წესრიგით აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ბოლო სამი წლის განმავლობაში, აქტიურად ემზადება უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) წევრობისათვის, რაც გულისხმობს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას და წევრობის მოსაპოვებლად საჭირო პროცედურების გავლას.*

*ოქტომბრის ბოლოს, საქართველოში ჩამოვა ENQA-ს შემფასებელთა მისია, რომელიც შეაფასებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმიანობას, რის საფუძველზეც მიიღებს გადაწყვეტილებას წევრობასთან დაკავშირებით.*

*თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისთვის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის წევრობა და როგორ ემზადება ცენტრი ამ მნიშვნელოვანი მოვლენისთვის – გვესაუბრება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი გიორგი ვაშაკიძე.*




**– ევროპულ ასოციაციასთან შეთანხმებული სამოქმედო გეგმის მიხედვით, წევრობისთვის აუცილებელი პროცედურების გავლა გიწევთ. რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს ცენტრმა იმისთვის, რომ გახდეს ევროპული ასოციაციის წევრი?**

– 2015 წლიდან დღემდე უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სფეროში არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, რომელიც მიზნად ისახავდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამიშობაში მოყვანას ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG – 2015). რეფორმების შედეგად არსებითად შეიცვალა განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმები, რის შედეგადაც, რესურსებსა და მონიტორინგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ნაცვლად, ჩვენ მივიღეთ შედეგებსა და განვითარებაზე ორიენტირებული სისტემა, ასევე გავზარდეთ სტუდენტთა როლი ხარისხის განვითარების გარე მექანიზმებში და მაქსიმალურად ავითვისეთ საერთაშორისო გამოცდილება.

**– ამჟამად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის შეფასების 7 სტანდარტი გვაქვს და როგორც ვიცით, ეს ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის მოთხოვნების შესაბამისი სტანდარტებია. ხომ არ შეიცვლება შეფასების კრიტერიუმები?**

– არა, ეს სტანდარტები, შინაარსობრივ ნაწილში, სავსებით შეესაბამება იმ მოთხოვნებს, რასაც ევროპა გვიყენებს და რაც აუცილებელია იმისთვის, რომ გავხდეთ ENQA-ს წევრები. ამიტომ შინაარსობრივ ნაწილში არსებით ცვლილებებს არ ვგეგმავთ. რაც შეეხება პროცედურებს, ისინი შესაძლოა გადაიხედოს მეტი გამჭვირვალობის, სიცხადის და ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით. ასევე ბევრი გვექნება სამუშაო ექსპერტთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარებაზე. ნებისმიერი ცვლილების მიზანი იქნება, სტუდენტებმა მიიღონ უფრო ხარისხიანი განათლება, ხოლო დაწესებულებებს მიეცეთ იმის შესაძლებლობა, რომ განათლების ხარისხის უზრუნველყოფის თანმიმდევრული და გრძელვადიანი მექანიზმები შექმნან და საკუთარი პოტენციალი სრულად განავითარონ.

**– რით არის მნიშვნელოვანი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის წევრობა და რა მოლოდინები უნდა გვქონდეს?**

– როგორც მოგეხსენებათ, წევრობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას, ექსპერტთა შეფასების საფუძველზე, იღებს ასოციაციის საბჭო. ჩვენ გავაგზავნეთ თვითშეფასების ანგარიში, რომელსაც გაეცნო ENQA-ს საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი. ამის შემდგომ, ბუნებრივია, ჩაინიშნა შეფასების ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც შემოწმდება რამდენად შეესაბამება თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ინფორმაცია სინამდვილეს. შემფასებელ ჯგუფს ასევე უფლება ექნება, დამოუკიდებელი კვლევა აწარმოოს და გაარკვიოს, თვითშეფასების ანგარიშის მიღმა, ხომ არ დარჩა სხვა საკითხები ან ხომ არ არსებობს კითხვები, რომელსაც სჭირდება გადამოწმება. ამის შემდგომ, დაახლოებით 2 თვეში, ველოდებით მათ პირველ გამოხმაურებას, ანუ პირველად შეფასებას, რის შემდეგაც გვექნება შესაძლებლობა, ჩვენი კომენტარები გავაკეთოთ შეფასებასთან დაკავშირებით. ყველაზე გვიან, გაზაფხულისთვის გვეცოდინება, რა გადაწყვეტილებას მიიღებს ENQA ჩვენს გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

რატომ გვაინტერესებს და რატომ გვინდა ENQA? ENQA-ში წევრობას ძალიან ბევრი უპირატესობა აქვს. ENQA-ში გაწევრიანებით დავადასტურებთ, რომ საქართველომ შეასრულა ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით დაკისრებული ამოცანა და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები დაუახლოვა ევროპულს. ამასთანავე ENQA-ში გაწევრიანებით ცენტრი ევროპის სივრცის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ორგანიზაციის წევრი გახდება და ისარგებლებს ყველა იმ უპირატესობით, რომელიც ამ ორგანიზაციიდან გამომდინარეობს (მაგალითად, ინფორმაციის მიმოცვლა, სხვადასხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებში მონაწილეობა, ინიციატივების წარდგენის შესაძლებლობა, საექსპერტო რესურსის განვითარების შესაძლებლობა და ა.შ.). ასევე, ENQA-ს წევრობა მნიშვნელოვნად ზრდის ნდობას საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მიმართ და წარმოადგენს საქართველოში მიღებული განათლების ავტომატური აღიარების წინაპირობას.

**– ბატონო გიორგი, ხომ არ არის რაიმე ვადები, მაგალითად, ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ისევ ხომ არ მოხდება მათ მიერ შეფასება?**

– ისევე, როგორც საავტორიზაციო და საკრედიტაციო შეფასებები, ENQA-ს შეფასებაც რეგულარულ ხასიათს ატარებს. ENQA-ს წევრობის შესანარჩუნებლად ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოები ყოველ 5 წელიწადში ერთხელ გადიან შეფასებას. ამას გარდა, წევრობის საწყის ეტაპზე განსაკუთრებული დაკვირვების ქვეშ ვიქნებით და ორი წლის შემდეგ მოგვიწევს ENQA-ში ანგარიშის წარდგენა ჩვენ მიერ განხორციელებულ საქმიანობასთან, ცვლილებებთან და ENQA-ს ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

**– სამომავლოდ ENQA-ს წევრობა შეცვლის ცენტრის უფლებამოსილებას, სკოლებსა და პროფესიულ სასწავლებლებთან მიმართებაში?**

– არა, ENQA-ს წევრობა ეხება მხოლოდ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილს.

**– როგორ შეაფასებდით შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტთან დაკავშირებულ მოვლენებს?**

– სააპელაციო საბჭო კოლეგიური ორგანოა, რომელიც დამოუკიდებელ ფორმატში საქმიანობს და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას. მოგეხსენებათ, რომ 15 ოქტომბერს, სააპელაციო საბჭომ მიიღო შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასარგებლო გადაწყვეტილება. სააპელაციო საბჭოს ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გადახედოს ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებას და თუ საჭიროდ ჩათვლის, შეუძლია, საკითხი ხელახალი განხილვისთვის დააბრუნოს ავტორიზაციის საბჭოში. სწორედ ამ ფაქტის მომსწრენი გავხდით. ახლა ჯერი ავტორიზაციის საბჭოზეა.

**– თქვენი სამომავლო გეგმები...**

კონკრეტულ გეგმებზე საუბარი ნაჩქარევი იქნება. გუნდთან ერთად აქტიურად ვაანალიზებ 2017-2018 წლების გამოცდილებას და ვცდილობ დავინახო ხარვეზები და ჩამოვაყალიბო მათი გამოსწორების გზები. ამ გადმოსახედიდან შემიძლია იმის თქმა, რომ ცენტრის ამოსავალი პრინციპი იქნება „სტუდენტის საუკეთესო ინტერესი“ და ყველა რეფორმა, რომელიც ჩვენ მიერ დაიდგეგმება, სწორედ ამ პრინციპზე იქნება ორიენტირებული. ასევე შემიძლია ვთქვა, რომ კიდევ უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა ექსპერტთა რესურსის და უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების გაძლიერებას. უახლოეს მომავალში ცენტრის ბაზაზე შეიქმნება „ხარისხის სკოლა“, რომელიც ამ ყველაფერზე იზრუნებს.

ესაუბრა მაკა ყიფიანი

ახალი ამბები

# სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) აღიარება

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი პირველი სააგენტოა ევროპაში, რომელმაც სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) აღიარება მოიპოვა.

2017 წელს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციასთან (WFME) მოლაპარაკება, აღიარების მოპოვების მიზნით. 2018 წელს ცენტრმა გაიარა WFME-ის საერთაშორისო ექსპერტების შეფასება, რომლებმაც დაადასტურეს, რომ საქართველოში მოქმედი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები, სამედიცინო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლები და პროცედურები შესაბამისობაშია მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა და სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის ერთობლივ მოთხოვნებთან.

ცენტრის მიერ სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციისგან აღიარების მოპოვება პირდაპირ უკავშირდება საქართველოში არსებული მედიცინის პროგრამების კურსდამთავრებულების მიერ მიღებული განათლების აღიარებას შეერთებულ შტატებში და მის ფარგლებს გარეთ, რაც საშუალებას მისცემს მათ, დასაქმდნენ და სწავლა გააგრძელონ ნებისმიერ ქვეყანაში.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ფედერაციისგან მოპოვებული აკრედიტაციის განხორციელების უფლება ნიშნავს იმას, რომ ცენტრის მიერ როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ მოქმედი უნივერსიტეტებისთვის მინიჭებული აკრედიტაცია მთელ მსოფლიოში იქნება აღიარებული.

wfme WORLD FEDERATION FOR MEDICAL EDUCATION

Recognised

# ელიზაბეთ რუდი ჩიბათის სკოლაში

ლალი ჯელაძე

*მოგესალმებით ქალბატონო რუდი,*

*მე ლადო აფხაზავა ვარ, ლანჩხუთის მუნიციპლიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი.*

*რამდენიმე თვეა ლანჩხუთში ოკუპაციის მუზეუმი გავხსენით, რომელიც წარმოადგენს პლატფორმას ღონისძიებებისთვის, რომელთა ფარგლებშიც ახალგაზრდებს აქვთ შესაძლებლობა, აიმაღლონ ცნობიერება ოკუპაციის შესახებ. ოკუპაციის მუზეუმის კონცეპტი გულისხმობს საინტერესო ადამიანების მოწვევას, საჯარო ლექციებს და დისკუსიებს ოკუპაციის თემის ირგვლივ. გვსურს, მოვიწვიოთ საინტერესო ადამიანები და გავმართოთ მათთან შეხვედრები და დისკუსიები.*

*ჩვენს მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც ზოგადად ქვეყანაში, საკმაოდ ძლიერია რუსული პროპაგანდისტული მანქანის გავლენა, რაც ანტიდასავლური განწყობების გაძლიერებას უწყობს ხელს. მით უმეტეს იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომ რეგიონებში ინფორმაციის ნაკლებობაა და მოსახლეობის ინფორმირების პროცესი დეფიციტურია.*

*სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ლანჩხუთში თქვენი დახმარება. მიუხედავად ბევრი აქტივობისა და პროექტებისა, რომლებსაც ჩემს სკოლაში ვაკეთებ, ვფიქრობ, რომ აუცილებელია, განსაკუთრებით მოსწავლეებს და ახალგაზრდა ადამიანებს ჰქონდეთ ჰორიზონტის კიდევ უფრო გაფართოების შესაძლებლობა.*

*ამავდროულად კი ვთვლი, რომ ჩემ მიერ შეთავაზებული ღონისძიებები გლობალური მოქალაქეების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ამიტომაც ვცდილობ, ხელთ არსებული რესურსები მაქსიმალურად გამოვიყენო, რათა ჩემი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების ცნობიერება გავზარდო ოკუპაციის თემის ირგვლივ.*

*რესურსების სიმწირიდან გამომდინარე, არ მრცხვენია და სასწავლო რესურსებს სანაგვე ურნებიდან ვიღებ და ვიყენებ სასკოლო პრაქტიკაში. მე არ მაქვს საშუალება, თქვენი ვიზიტის გზის თანხები დავაფინანსო, თუმცა მაქვს დიდი სურვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებმა იხილონ ამერიკის ელჩი და მოისმინონ მისი მოხსენება.*

*ვფიქრობ, თქვენი ჩამოსვლა ლანჩხუთში ჩვენთვისაც საინტერესო იქნება და თქვენთვისაც.*

*თუ თქვენ დათანხმდებით ამ შემოთავაზებას, ჩვენ შევძლებთ ერთობლივად გადავწყვიტოთ ვიზიტის თარიღი და დავგეგმოთ საინტერესო შეხვედრა!*

*კეთილი სურვილებით, მასწავლებელი ლანჩხუთიდან*
*ლადო აფხაზავა. 14.09.2018 წელი*

წერილზე პასუხი ჩიბათის სკოლის მასწავლებელმა მალევე მიიღო და, რაც მთავარია, მიიღო თანხმობა – გადაწყდა, რომ ლანჩხუთში, „ოკუპაციის მუზეუმს“, ელიზაბეთ რუდი 19 ოქტომბერს ეწვეოდა.

რაც შეეხება მასწავლებელს ლანჩხუთიდან – ლადო აფხაზავას – ბევრი წარდგენა არ სჭირდება, რადგან მისი სახელი და გვარი მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოს პირველ მფლობელს უკავშირდება. გასული წლის საუკეთესო მასწავლებელმა საზოგადოებას თავი არაერთი აქტივობით დაამახსოვრა. „ლადო, როგორ ასწრებ ამდენს?“ – ძალიან ხშირად ვკითხულობ ამ სტატუსს მის ფეისბუქგვერდზე, რომელსაც მეგობრები და კოლეგები წერენ.

გურიის, ერთ-ერთი სოფლის, ჩიბათის თითქოს არაფრით გამორჩეული საჯარო სკოლა კი, ყურადღების ცენტრში ლადო აფხაზავამ მას შემდეგ მოაქცია, რაც იქ სამოქალაქო განათლების მასწავლებლად დაიწყო მუშაობა – ყველა მოსწავლისთვის ძალიან სასურველ და საყვარელ მასწავლებლად იქცა. სიურპრიზებით სავსეა მისი გაკვეთილი, წინასწარ არავინ იცის, სად და როგორ დაიწყება ან რა განვითარებას ჰპოვებს. უბრალოდ, მის დაწყებას მოსწავლეები მოუთმენლად ელიან და შემდეგ წამყვანი ძალაც თავად ხდებიან. „მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს“ მიღების შემდეგ, მან პედაგოგიური საქმიანობა კიდევ უფრო მრავალფეროვანი, აქტიური და საინტერესო გახადა. მისი მოტივაცია, რომელიც ისედაც არ აკლდა, გაორმაგდა და ყოველდღე, გარდა იმისა, რომ გაკვეთილს ატარებს, მუდმივ ძიებაში და მცდელობაშია, რითი გახადოს უფრო სასარგებლო მოსწავლეებისთვის. თუმცა, მხოლოდ მოსწავლეებით არ შემოიფარგლება და მისი აქტივობები, კარგა ხანია (ეროვნულ ჯილდომდეც), გასცდა სკოლის ფარგლებს და თემშიც ისეთივე წარმატებით დაიმკვიდრა ადგილი. ფიქრობს, რომ სკოლა და მოსწავლე თემისგან მოწყვეტით და განცალკევებულად ვერ განვითარდება, რადგან სოციუმი, რომელშიც მას სკოლის შემდეგ უწევს ყოფნა და ცხოვრება ისეთივე მნიშვნელოვანია მისი განვითარებისთვის, როგორც სკოლა და გაკვეთილი.

ლადო აფხაზავა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული სამოქალაქო განათლების პროგრამის ყოფილი მონაწილეა. პროგრამის ფარგლებში პედაგოგებისთვის დაგეგმილ აქტივობებში მონაწილეობა, როგორიცაა: ღია გაკვეთილები, ტრენინგები, მრგვალი მაგიდები და პროფესიული გაზიარების ჯგუფის შეხვედრები, ლადოს პროფესიულ განვითარებაში დაეხმარა. აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული მინი-გრანტების მეშვეობით, მოსწავლეებმა, პედაგოგის მხარდაჭერით, სკოლისა და საზოგადოებისათვის სასარგებლო პროექტები განახორციელეს. პროექტებში მონაწილეობით მოსწავლეებმა ისწავლეს, რომ საერთო პრობლემების მოგვარებისთვის გაწეული ძალისხმევა მნიშვნელოვანია დემოკრატიული საზოგადოების განვითარებისთვის.

აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული სამოქალაქო განათლების პროგრამები ხელს უწყობს სამოქალაქო განათლების სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას სკოლებში და ახალგაზრდების ჩართულობას სამოქალაქო აქტივობებში. აღნიშნულმა პროგრამებმა საქართველოს სკოლების 60%-ს გაუწია დახმარება.

*„ჩვენ გვაქვს პატარა სახელმწიფო, რომელიც დემოკრატიული პრინციპებით იმართება და მასში თანაბრად ვართ ჩართულები მეც, მასწავლებლებიც და მოსწავლეებიც.* – ამბობს ლადო აფხაზავა. – *როცა ოკუპაციის მუზეუმის იდეა გაგვიჩნდა მე და ჩემს მოსწავლეებს, დავიწყეთ მოძიება, ვინ იყო დაინტერესებული ამ თემით, ყველაზე ხშირად ვინ საუბრობდა ამ თემაზე და აღმოვაჩინეთ, რომ ყველაზე ხშირად ოკუპაციაზე პრეზიდენტის ადმინისტრაცია საუბრობს. მივხვდით, რომ ის დაინტერესებული მხარეა. დავწერეთ პროექტი, გავაგზავნეთ და, თქვენ წარმოიდგინეთ, მეორე დღესვე შეგვეხმიანენ. მოგვწერეს, არ გვეგონა ლანჩხუთში ოკუპაციის თემაზე ასეთი პროექტის გაკეთებაზე თუ ვინმე იფიქრებდაო. ამიტომ მათთვის ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რომ ლანჩხუთშიც ისმოდეს ოკუპაციის თემაზე დებატები და ინტენსიური საუბრები.*

*ლანჩხუთში ოკუპაციის მუზეუმი განთავსებულია მხარეთმცოდნეობის მუზეუმის პირველ სართულზე, რომელიც არასოდეს გარემონტებულა. გადავწყვიტეთ, ეს ადგილი აგვეთვისებინა.*

*მოვიძიეთ ფონდები/თანხები და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში შევქმენით დიდი საგანმანათლებლო სივრცე, სადაც ქართულის, ისტორიის, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ სხვადასხვა პროექტების განხორციელება. სიმართლე გითხრათ, მსგავს გამოხმაურებას ასეთ მოკლე პერიოდში არ ველოდით, მაგრამ უკვე 8 სკოლამ განახორციელა ამ სივრცეში სხვადასხვა პროექტი – მუზეუმი მათ გამოიყენეს, როგორც სასწავლო რესურსი. აქ ყველა პირობაა ამისთვის შექმნილი, აღჭურვილია საჭირო ინვენტარით: სავარძლებით, მაგიდებით, დიდი ეკრანით, პროექტორით, რესურსებით, ექსპონატებით. შეუძლიათ მოსწავლეები მიიყვანონ და გაკვეთილები ჩაატარონ.*

*ჩვენ უკვე მოვახერხეთ და გერმანიიდან ახალგაზრდა ელჩი ჩამოვიყვანეთ – მიხეილ სარჯველაძე, რომელმაც ორდღიანი ლექცია ჩაატარა ოკუპაციის თემაზე. ახლა ამერიკის ელჩი გვყავდა. მალე, ჩვენი მოწვევით, ესტონეთის ელჩი ჩამოვა, ასევე, ველოდებით პოლონეთის ელჩსაც. ძალიან გვიხარია, რომ მათგან თანხმობა მივიღეთ. რაც მთავარია, ეს აქტივობები არა მარტო ჩიბათის სკოლის, არამედ მთელი მუნიციპალიტეტის ბავშვებისთვის ხორციელდება. გვინდა, ოკუპაციის თემა უფრო მეტად წამოვწიოთ ახალგაზრდებში.*

*ოკუპაციის მუზეუმი მართლაც საუკეთესო შესაძლებლობად შეიძლება ვაქციოთ ჩვენი რეგიონის მოსწავლეებისთვის,*



*მისი სახით მათ ექნებათ სივრცე, სადაც შეხვდებიან ცნობილ ადამიანებს, პოლიტიკოსებს, რადგანაც რეგიონის მოსწავლეები მაინც მოკლებული არიან ასეთ ღონისძიებებში ჩართვას.*

*რაც შეეხება ამერიკის ელჩის მოვალეობის შემსრულებლის ვიზიტს, მინდოდა მისთვის გვეჩვენებინა, რა შევძელით ჩიბათის საჯარო სკოლაში – რა ადვოკატირებები და პროექტები განახორციელეს მოსწავლეებმა. ამის გარდა, მინდოდა ელჩისთვის ძალადობაგამოვლილი ბავშვებიც გამეცნო. მართლაც მნიშვნელოვანი ვიზიტი იყო, მან ლექცია წაუკითხა ჩვენს მოსწავლეებს და შემდეგ დრო კითხვა-პასუხსაც დაუთმო, არც ერთი მოსწავლის კითხვა უპასუხოდ არ დატოვა. ჩემი მოსწავლეები, როგორც სჩვევიათ, ძალიან აქტიურობდნენ, უფრო თამამები იყვნენ, ვიდრე თანამშრომლები. ქართული თიხით მონეტაც დაამზადეს და ერთ მხარეს ამერიკული დროშა ამოტვიფრეს, მეორე მხარეს – ქართული. ელჩს ეს საჩუქარი ძალიან მოეწონა და გულზეც დაიბნია. ამ ვიზიტის შემდეგ, თვითმმართველობაც კიდევ უფრო დაინტერესდა ოკუპაციის მუზეუმით. როცა ამერიკის ელჩმა ხმამაღლა განაცხადა, ეს რა მაგარი მუზეუმია და რა გაგიკეთებიათო, ყველამ სხვაგვარად შეხედა. ძალიან გახარებულები ვართ.“*

ელიზაბეთ რუდმა, სკოლაში ვიზიტის ფარგლებში, მოუსმინა, პედაგოგისა და მოსწავლეების ინიციატივით, სკოლისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ, განხორციელებული სამოქალაქო განათლების პროექტების პრეზენტაციებს. ეწვია სიმბოლური მავთულხლართებით გარშემორტყმულ ოკუპაციის მუზეუმს, სადაც ქალბატონ რუდსა და ლანჩხუთის სკოლების მოსწავლეებს შორის კითხვა-პასუხის სესია გაიმართა. *„ძალიან ბედნიერი და მოხარული ვარ, ჩიბათის სკოლაში ჩამოსვლის და იმ მასწავლებელთან შეხვედრის შესაძლებლობა რომ მომეცა, რომელიც წინა წელს წლის საუკეთესო მასწავლებელი გახდა. ძალიან გვიხარია, რომ ის აქტიურად უჭერს მხარს, „იუსაიდის“ პროგრამის ფარგლებში, განათლების მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს. მართლაც ბევრი რამ გააკეთა მოსწავლეების განვითარების კუთხით. ლადო აფხაზავა არაჩვეულებრივ საქმეს აკეთებს – თავის მოსწავლეებს მთელი ძალისხმევით ასწავლის სამოქალაქო განათლებას და დემოკრატიულ პროცესებში ჩართულობას. ახალგაზრდების ჩართულობა კი უკეთესი მომავლის იმედის მომცემია და ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია ქვეყნის დემოკრატიული განვითარების საქმეში.“*

ლადო მასწავლებლის და მისი მოსწავლეების კიდევ ერთ ჩანაფიქრს – ქართულ-ამერიკული მუზეუმის გახსნას, ახლა კიდევ უფრო დიდი სტიმული მიეცა. „გურულები ამერიკაში“ – ამ თემის ამსახველი მასალა მოსწავლეებმა, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებთან ერთად, უკვე მოიძიეს და იმდენი დაგროვდა, რომ გეგმავენ გურულების (XVII-XIXსს) ვიზიტს ამერიკაში პატარა კუთხე/ მუზეუმი დაუთმონ. ალბათ, ამერიკის ელჩს ამ პროექტის შეფასებაც მოუწევს, რადგან გურული მოსწავლეების მონდომება, საზოგადოებას აჩვენონ საუკუნეების წინ მათი წინაპრების ამერიკული „ცხოვრება“, გულგრილს ვერც ამერიკელებს დატოვებს.

*„მნიშვნელოვანია, როცა ძალიან დიდი სახელმწიფო ჩამოდის შენს „მინი-სახელმწიფოში“, რომელიც ჩვენ შევქმენით და დემოკრატიული პრინციპებით იმართება.“* – ამბობს სამოქალაქო განათლების მასწავლებელი და განმარტავს, რომ მინი-სახელმწიფოში სკოლას გულისხმობს, ხოლო იქ მიმდინარე პროცესებს „დემოკრატიულ რევოლუციად მოიხსენიებს.“ მოსწავლეთა დასაინტერესებლად და განწყობის შესაქმნელად ჩიბათის საჯარო სკოლის მასწავლებელი, უსაზღვრო ფანტაზიის ხარჯზე, ათასგვარ იმპროვიზაციასა და ინოვაციურ მეთოდს იყენებს, ამიტომაც არის მისი გაკვეთილები და გარემო ყოველთვის გამორჩეული. ერთი „კაბინეტი“ ბავშვებისთვის მან სკოლის ეზოშიც კი მოაწყო, სადაც ხშირად საჭირბოროტო თემებს განიხილავენ და პრობლემებსაც წყვეტენ. სკოლის შენობაში ერთი ჩვეულებრივი კიბე კი ე.წ. „თავისუფლების კიბედ“ – საუკეთესო პლატფორმად – აქცია, სადაც მოსწავლეები ნახატებით გადმოსცემენ თავიანთ მოსაზრებებსა თუ კრიტიკულ შენიშვნებს, რადგან ყოველთვის გამორჩეული გაკვეთილების ავტორს მთავარ ღირებულებად სწორედ თავისუფლება მიაჩნია. *„ვცდილობ, მოსწავლეებს განწყობა გაკვეთილის დასაწყისშიც შევუქმნა და მომავალი გაკვეთილის მოსამზადებლადაც. გაკვეთილის ბოლო კი, როგორი სერიოზული ან მძიმე თემაც არ უნდა იყოს, აუცილებლად მხიარული დასასრულია.“*

ასეთია „ხმაურიანი“ მასწავლებლის პედაგოგიური საქმიანობა, რომელიც საგანმანათლებლო სისტემაში, თავის მოსწავლეებთან ერთად, ძალიან მნიშვნელოვან აქცენტებს აკეთებს, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: *„დემოკრატიულ რევოლუციას ახდენს“* და, რაც მთავარია, ერთი ჩვეულებრივი სოფლის სკოლის მაგალითზე, თვალსაჩინოს ხდის შესაძლებლობას – როგორ შეიძლება აქციო სკოლა დასავლური ღირებულებების ცენტრად, ხოლო სწავლება – ძალიან საინტერესო და სასარგებლო პროცესად, რომლის ცენტრში მოსწავლეა, შემდეგ – მასწავლებელი და სკოლა.










საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, **გიორგი კეკელიძის** მოწვევით პანკისელ მოსწავლეებს ჩაუტარდათ ექსკურსია ბიბლიოთეკაში, სადაც ისინი ინტერესით გაეცნენ იშვიათ გამოცემებსა და სამუზეუმო ექსპონატებს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის გამოცხადების 100-წლიან ისტორიას ასახავენ. შემდეგ ემოციებით აღსავსე პანკისელი მოსწავლეები დაესწრნენ გიორგი კეკელიძის ლექციას, რომელიც კითხვა-პასუხის საღამოში გადაიზარდა. მოსწავლეებს განსაკუთრებით აინტერესებდათ ინფორმაცია ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის შესახებ, სადაც ჩვენი ქვეყანა სპეციალური სტუმრის სტატუსით იყო წარმოდგენილი და დაკისრებულ მისიას წარმატებით გაართვა თავი. გიორგი კეკელიძემ, როგორც თვითმხილველმა, სიამოვნებით გაუზიარა ბავშვებს შთაბეჭდილებები, ესაუბრა შეხვედრებზე მსოფლიოს გამოჩენილ მწერლებთან, გამომცემლებთან და, უბრალოდ, წიგნის მოყვარულებთან.

პანკისელ მოსწავლეებთან შეხვედრა დემოკრატიის ლაბორატორიის პროექტის „გაიცანი პანკისი" ფარგლებში განხორციელდა, რომელიც ასევე ითვალისწინებს მომავალში გამოფენის მოწყობას, სადაც პანკისელი მოსწავლეები თანატოლებს საკუთარ კულტურას, ტრადიციებს, ენას, ფოლკლორს, სამზარეულოსა და სამოსს გააცნობენ.

პროექტი, სახელწოდებით „გაიცანი პანკისი", ხეობის შესახებ არსებული სტერეოტიპების გაბათილებას და პანკისელი ახალგაზრდების გააქტიურებას ისახავს მიზნად. პროექტის ფარგლებში, პანკისის ხეობაში მოქმედი 6-ვე სოფლის სკოლის მოსწავლეები (ომალოს, დამასტურის, დუისის, წინუბნის, ჯოყოლოს, ბირკიანის) მასშტაბურ გამოფენას გამართავენ და სტუმრად მისულ საზოგადოებას გააცნობენ ადგილობრივ სამზარეულოს; დაათვალიერებინებენ ენის, ჩაცმულობისა და ტრადიციული ტანსაცმლის პოპულარიზაციის მიზნით შექმნილ ნამუშევრებს.

გამოფენისთვის „გაიცანი პანკისი" სამზადისი უკვე დაწყებულია – საჭირო ცოდნასა და უნარებს გამოფენის მომზადებისთვის მოსწავლეები და მათი მასწავლებლები პროექტის ფარგლებში გამართული სასწავლო კურსის დახმარებით მიიღებენ.

**რევაზ თოფურია**

# ეროვნულ არქივს აუდიოწიგნები შეემატა

საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრმა საქართველოს ეროვნულ არქივს აუდიოწიგნების არქივი გადასცა. 1600-ზე მეტ მაგნიტურ ფირსა და 5800-ზე მეტ აუდიოკასეტაზე, 1950-80-იან წლებში ჩაწერილი, ქართველი და უცხოელი ავტორების 1000-ზე მეტი ნაწარმოები, ასევე, ზღაპრები და სიმღერებია.

ჩანაწერებს შორისაა: მიხეილ ჯავახიშვილის „თეთრი საყელო"; ვასილ ბარნოვის „ტრფობა წამებული"; ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია"; ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები"; თამაზ ჭეიშვილის „ხუთი ოლიმპიელი"; ონორე დე ბალზაკის „გამქრალი ოცნებანი", რადიარდ კიპლინგის „მაუგლი" და სხვ. ტექსტებს კითხულობენ ცნობილი მსახიობები და დიქტორები: გიზო სიხარულიძე, ზაზა ლებანიძე, გივი ჩუგუაშვილი, დავით დვალიშვილი, იზა დავითაშვილი, გოგი ხარაბაძე, ჯემალ მონიავა, ლეო ანთაძე, თინა მგალობლიშვილი და სხვები.

აუდიოწიგნები ეროვნულ არქივს უსინათლოთა კავშირის კულტურის ცენტრის დირექტორმა, **ცირა ვეფხვაძემ** პირადად გადასცა. მისი თქმით, ჩანაწერებს, ამ ფორმატში, მკითხველი ვეღარ იყენებს. ეროვნული არქივისათვის მისი გადაცემა ემსახურება ორ მიზანს – აუდიოკასეტები და ფირები ელექტრონულ მატარებელზე იქნება გადატანილი და გამარტივდება მისი მოსმენა, ამასთან, ორიგინალები დაცული იქნება აუდიოდოკუმენტების საცავში, სათანადო პირობებში.

საქართველოს ეროვნული არქივის კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორის, **გიორგი კაკაბაძის** ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც აუდიოჩანაწერების დედნები დამუშავდება საარქივო წესით, მასალა საცავში გადაინაცვლებს, დამზადდება მათი ციფრული ვერსია და მსმენელისთვის ხელმისაწვდომი გახდება ონლაინსივრცეში.



# ახალგაზრდა ხელოვანი

ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის პროექტის „ახალგაზრდა ხელოვანი" ფარგლებში, კონკურსი ორი მიმართულებით ჩატარდა – დამწყები პროზაიკოსებისა და მხატვრებისათვის.

კონკურსის საზეიმო დახურვის საზეიმო ცერემონიალი ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის პროგრამების მართვის დეპარტამენტის უფროსმა, **ბელა სარიამ** გახსნა. მან პროექტის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება, კონსულტანტებსა და ცენტრის თანამშრომლებს კონკურსების სრულყოფილად განხორციელებისათვის მადლობა გადაუხადა და მოზარდებს კარიერული წინსვლა უსურვა.



მონაწილეებს სიტყვით მიმართეს პროექტის კონსულტანტებმა: მწერალმა **პაატა შამუგიამ**, მწერალმა და ლიტერატურის კრიტიკოსმა **ლექსო დორეულმა**, მხატვრებმა – **გოგა ჯაფარიძემ** და **ნინო ქოქიაშვილმა**. მათ თავიანთი რჩეულები დაასახელეს და საჩუქრები გადასცეს.

კონკურსების რჩეულები გახდნენ: ლიტერატურაში – **ელენე მესხი** და **ანდრია კიკონიშვილი**; მხატვრობაში – **ელენე არაბიძე** და **ლუკა გოგიტაძე**.



მხატვრულ კონკურსში კონსულტანტების მიერ შერჩეული 12 მონაწილე, დაბა ბაკურიანში, წელიწადის თორმეტი თვის თემატიკაზე ქმნიდა ნახატებს, ხოლო ლიტერატურული კონკურსის 24 მონაწილე – ლიტერატურულ ნაწარმოებებს.

მონაწილეების ნახატებით 2019 წლის კედლის კალენდარი აიკინძება, ნაწარმოებები კი კრებულის სახით გამოიცემა. წიგნი ბრაილის შრიფტითაც დაიბეჭდება და განკუთვნილი იქნება მცირემხედველთათვის და უსინათლოებისთვის.



სამოდელო გაკვეთილი

# გაკვეთილი მოსაწყენი რომ არ გახდეს...

მოსწავლეებს მალე ბეზრდებათ ერთფეროვანი გაკვეთილები, ხანდახან საჭიროა გარემოს შეცვლა, სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება, ხანდახან საკლასო ოთახსაც უნდა გავსცდეთ და სკოლის ეზოში (თუ ეზო იძლევა ამის შესაძლებლობას) გადავინაცვლოთ. ბუნებაში, ღია ცის ქვეშ ჩატარებული კარგად დაგეგმილი გაკვეთილი იმდენად აძლიერებს განწყობას სწავლისადმი, რომ შესამჩნევია ბავშვების პოზიტიური დამოკიდებულება. დადებითი ემოციებით დამუხტული მოსწავლე კი მასწავლებლის მეგობარი ხდება. ამ მიზნით დავგეგმე გაკვეთილი, მართალია, სევდიანი თემით, მაგრამ ხალისიანი დასასრულით. გთავაზობთ ინოვაციური ტიპის სამოდელო გაკვეთილს.

გაკვეთილი ჩატარდა ღია ცისქვეშ, სუფთა ჰაერზე, ანათებდა შემოდგომის სასიამოვნო მზე. იყო არაჩვეულებრივი სასწავლო გარემო და მოსწავლეებმა ხალისით შეასრულეს ყველა აქტივობა.

## ინოვაციური (ღია ცისქვეშა) გაკვეთილი

**საგანი** – ქართული ენა და ლიტერატურა
**სწავლების საფეხური/კლასი** – მე-8³ კლასი
**მოსწავლეთა რაოდენობა** – 25, არ მყავს სსსმ მოსწავლე
**გაკვეთილის თემა** – *შემოდგომა ბარათაშვილის სულში* (ლექსის „ფიქრნი მტკვრის პირას“ მიხედვით).

**გაკვეთილი გათვლილია** 45 წუთზე და **დაგეგმილია** „იდეების სახელოსნოს“ მეთოდით:
**ინოვაციური გაკვეთილის მიზანი** – ინოვაციური გაკვეთილის მიზანია მოსწავლეებს უბიძგოს ფანტაზიისკენ, უამრავი ახალი, ინოვაციური იდეის გენერირებისკენ. მოსწავლეები დამოუკიდებლად შეძლებენ თავიანთი იდეის განვითარებას.
**მისაღწევი შედეგი და ინდიკატორები:**
**ქართ. VIII. 5**. მოსწავლეს შეუძლია გაიაზროს, გააანალიზოს და შეაფასოს ტექსტები (მხატვრული და არამხატვრული), რომლებიც შეიცავენ გარკვეულ თვალსაზრისს ან მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე.
**ქართ.VIII. 10**. მოსწავლეს შეუძლია წერილობით გადმოსცეს საკუთარი თვალსაზრისი, იმსჯელოს კონკრეტულ საკითხზე სათანადო არგუმენტების მოხმობით.

სუროებიან ცოცხალ კედელზე ფორმატის ქაღალდია დამაგრებული, რომელზეც წერია: *„ადამიანის სული გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე, რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია, ამიტომ, ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავვყოთ ერთმანეთის სული; თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანაზე“* ( ნ. დუმბაძე, „მარადისობის კანონი“). (წარწერა ერთგვარი მინიშნებაა მოსწავლეთათვის მართებული დასკვნის გამოსატანად).

| № | აქტივობის აღწერა | გამოყენებული მეთოდი | კლასის ორგანიზების ფორმა | რესურსი | დრო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | პირველ ეტაპზე მოსწავლეებს განვუმარტავ გაკვეთილის მიზანს, გავაცნობ მეთოდის მიმდინარეობასა და წესებს, თუ როგორ უნდა წარიმართოს გაკვეთილი. მოსწავლეებს მივცემ განმავითარებელ შეფასებას (შეფასების რუბრიკებს მოსწავლეები იცნობენ). | ინფორმირება ვერბალური სახით | საერთო საკლასო | შეფასების რუბრიკები<br><br>ელექტრონული პრეზენტაცია | |
| 2 | აქტივობა1.<br>**წინარე ცოდნის შემოწმება**<br>მოსწავლეები იცნობენ ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიას. გამეორების მიზნით, ვაჩვენებ ორწუთიან ვიდეოს, რომელიც მათ შეახსენებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიოგრაფიის მნიშვნელოვან დეტალებს. შემდეგ, პროვოცირების მიზნით, ვსვამ კითხვას:<br>**1. რატომ იქცა მხიარული ბიჭი სულიერი ტკივილებით აღსავსე სევდიან ჭაბუკად?**<br>(მოსწავლეებს ვავალებ, ჩამომითვალონ სევდის გამომწვევი მიზეზები) | კითხვა-პასუხი<br><br>გონებრივი იერიში | ინდივიდუალური<br><br>საერთო საკლასო | ჩანაწერთა დღიური<br><br>https://www.youtube.com/watch?v=ZU-FQMOb6HQ | 7წთ |
| 3 | აქტივობა 2.<br>**კომენტირებული კითხვა**<br>ვკითხულობ ლექსს „ფიქრნი მტკვრის პირას“, პარალელურად მოსწავლეები უპასუხებენ შეკითხვებს და პასუხებს იწერენ ჩანაწერთა დღიურში.<br>1. რა მიზნით მიდის ლექსის ლირიკული გმირი მდინარის სანაპიროზე?<br>2. რომელი სიტყვა მიგვანიშნებს, რომ ამ ადგილს ხშირად სტუმრობდა?<br>3. რომელი სტრიქონიდან ჩანს, რომ პოეტს შვება ვერსად უპოვია?<br>4. როგორ წარმოუდგება ადამიანის ცხოვრება ბუნებაში განმარტოებულ პოეტს?<br>5. რას ადარებს პოეტი წუთისოფელს? რატომ?<br>6. ლექსში წარმოდგენილია ორი მეფის, კეთილისა და ბოროტის სახე. როგორ ახასიათებს მათ პოეტი? რა განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ მათ?<br>7. თქვენი აზრით, ვის გულისხმობს პოეტი მშობელში?<br>8. როგორ აჯამებს ლექსში პოეტი თავის შეხედულებას ადამიანის დანიშნულებაზე? | | ინდივიდუალური<br><br>საერთო საკლასო | ჩანაწერთა დღიური | 15წთ |
| 4 | აქტივობა 3<br>**იდეების ჩამოწერა (მოსწავლეები ფსიქოლოგის ამპლუაში)**<br>დაეხმარეთ ადამიანს სევდის განქარვებაში. როგორ ვეხმარებით მეგობარს დეპრესიის დაძლევაში? დავურიგებ ამონარიდებს ბარათაშვილის წერილებიდან და ასევე, ბიბლიის ერთ-ერთი წიგნიდან „ეკლესიასტე“ და ვავალებ ჩამოწერონ იდეები.<br>კითხულობენ ამონარიდებს ბარათაშვილისა და მისი მეგობრების წერილებიდან...<br>„შენც იცი, დიდი ხანია, რაც ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო, სიცოცხლე მომძულებია ამდენი მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!“<br>(„ორის ერთად ყოფნა სჯობს მარტო ყოფნას... თუ ერთი დაეცემა, მეორე წამოაყენებს თავის ამხანაგს. მაგრამ რა ეშველება მარტომყოფს, თუ დაეცა და წამომყენებელი არავინ ჰყავს?“ (ეკლესიასტე 4:9, 10)<br>„ეკლესიასტეს“ დასკვნა ასეთია: „განმარტოებული კაცი... ყოველგვარი სიბრძნის წინააღმდეგ მიდის“ (იგავები 18:1). ეთანხმებით თუ არა ამ დასკვნას?<br>**ჰქონდათ თუ არა ბარათაშვილის მშობლებს გაგების უნარი? ჰყავდა ვინმე უფროსი სევდისა და დარდის გამზიარებელი?**<br>მოვუსმინოთ ბარათაშვილს:<br>„ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში. მაშ, რაღამ დამიშალა, თუკი ჩემი სურვილი იყო? აი, რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ კოჭლი ხარო, და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მიგიღებენო, მაშინ როდესაც ფეხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს. ასე რომ, ჩემებურად კიდეც ვხტი და კიდეც ვტანცაობ.“<br>გრიგოლ ორბელიანისადმი მიწერილი წერილი:<br>„ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არ მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრეკლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილს ადგილს, ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!“<br>მეგობრების მოგონებები:<br>„ბარათაშვილი ყოველთვის სერთუკში იყო ხოლმე გამოწყობილი, ქართულ ტანისამოსს არ ხმარობდა. ეს გარემოებაც დედაჩემისაგან გამიგონია. მე თვითონ ბარათაშვილი არ მახსოვს და იმის დებს კი ყველას კარგად ვიცნობდი და ძალიან მიკვირდა, რომ ამ დებმა არცერთი ლექსი თავიანთი ძმისა არ იცოდნენ და როდესაც იმათთან ჩვენ ვაქებდით და ვადიდებდით ჩვენს პოეტს, ისინი როგორღაც უნდობლად იღიმებოდნენ ხოლმე.“<br>„იყო მეტად ცოცხალი, მხიარული, მოწესრიგებული, ამავე დროს ყოვლად უანგარო, მიუხედავად დიდად შევიწროვებული მდგომარეობის, იგი მზად იყო დახმარებოდა გაჭირვებულს ყველაფრით, რითაც კი საჭირო იყო... მეგობრები იცნობდნენ მას, როგორც საუკეთესო ამხანაგს, რომელიც ყოველთვის აცოცხლებდა საუბარს, იცინოდა, აცინებდა, ენამახვილობდა, ერთობოდა და იპყრობდა ხანდახან ყველას ყურადღებას თავის ნაწარმოებებით...“ | იდეების სახელოსნო<br><br>აზრთა წრე | წყვილური | ჩანაწერების დღიური,<br><br>ტექსტები | 10წთ |

## სამოდელო გაკვეთილი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 4 | „ნიკო საუცხოვოდ ჰკითხულობდა საღვთო წერილს. არ იცოდა ენა, მაგრამ სიმღერა და მუსიკა ძლიერ უყვარდა. ისეთი მხიარული იყო, რომ ვერავინ შეატყობდა, მწერალიაო. ყოველ ლხინზე სათარას მოიყვანდა. მთელი ქვეყნის გასათხოვარი ქალების ამბავი დაწვრილებით იცოდა. უყვარდა ნათესავობა და მუდამდღე მათში დადიოდა.“<br>„ნიკოლოზ ბარათაშვილი სკოლაში კარგად სწავლობდა. უმეტესად განსხვავებული იყო თავის ამხანაგებში, მხიარულის ხასიათით, სიმართლით, პირველი მოცეკვავე იყო, საკუთრად ლეკური საქმე, ყველასგან საყვარელი ამხანაგი, ფხიზელი, ცნობის მოყვარული, მიმღები, ყოველივე კარგი შთაბეჭდილებისა.“<br>„უყვარდა ბუნებასთან საერთო ენის გამონახვა და საკუთარი გრძნობების გადმოცემა“ | იდეების სახელოსნო<br>აზრთა წრე | წყვილური | ჩანაწერების დღიური,<br>ტექსტები | 10წთ |
| 5. | აქტივობა 4.<br>**ჯგუფური მუშაობა – „მოწყენილი ხე“**<br>კლასს დავყოფ ოთხ ჯგუფად, ვავალებ, ერთი სიტყვით გამოხატონ, როგორია შემოდგომა მათ სულში. მათ ნააზრევს ვაკრავ დაფაზე. შემდეგ მონიტორზე გაჩნდება ამონარიდი რევაზ ინანიშვილის ერთ-ერთი მოთხრობიდან: „წუხილი ყველგანაა. შესაძლოა, თვით დედამიწასაც უჭირდეს და ჩვენ, ადამიანებს გვევედრებოდეს რაღაცას“. **ჰგავს თუ არა ბარათაშვილის ცხოვრება შემოდგომას?** დავახასიათოთ შემოდგომა. კედელზე გაკრული იქნება დიდი ფორმატის ფურცელზე გამზადებული ხის კონტური. მოსწავლეებს დაურიგდებათ ფოთლების ფორმის ბარათები, მათ უნდა შემოსონ ხე (მოსწავლეებს ასევე დავალებული ჰქონდათ სკოლის ეზოში შემოდგომის ამსახველი ფოტოების გადაღება, მათ ასევე, შექმნეს ფოტოკოლაჟი და ვივალდისა და ტარივერდიევის შემოდგომის მუსიკის ფონზე ასრულებდნენ მეოთხე აქტივობას). | იდეების სახელოსნო, აზრების წრე | საერთო საკლასო<br>ჯგუფური | ტექსტი<br>ჩანაწერთა დღიური | 10წთ |
| 6. | აქტივობა 5<br>**საშინაო წერითი დავალება**<br>„რისთვის გავჩნდი ამ ქვეყანაზე?“ აქვს თუ არა რაიმე აზრი ჩვენს ცხოვრებას? (ვაძლევ მითითებას). ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი „ეკლესიასტე“ ამბობს: „ამაოება ამაოთა – ყოველივე ამაო არს“.<br>რა არ სცადა ებრაელთა მეფემ ეკლესიასტემ, რომ სიცოცხლის საზრისისთვის მიეგნო – ხან აღმშენებლობაში ეძიებდა მას, ხან –განათლების მიღებაში, ხან სიყვარულში... ყოველი ასეთი მცდელობის შემდეგ რწმუნდებოდა, რომ ადამიანის ნებისმიერი გარჯა და ქცევა ფუჭი და უშედეგოა, მის სიცოცხლეს არანაირი აზრი არ აქვს.<br>„ვისრამიანი“ (მშვენიერი აღმოსავლური ქმნილება, რომელიც ვისისა და რამინის სიყვარულის ისტორიაა) დასმულ კითხვას ასე უპასუხებს: „გაიხარე, სვი და ჭამე“.<br>**ეყრდნობა თუ არა ეს ორი პასუხი ერთმანეთს?**<br>**მსჯელობა დაასაბუთეთ.** | | საერთო საკლასო | | 2წთ |
| 7 | **შეფასება**<br>მოსწავლეებს ვავალებ, თავიანთ ჩანაწერთა დღიურში უპასუხონ შემდეგ კითხვებს: რა ვისწავლე დღეს? რატომ არის ეს საკითხები მნიშვნელოვანი? რომელი საკითხი დარჩა ბუნდოვანი? ავსებენ მთელი გაკვეთილის განმავლობაში. თავად კი, ჩემს დაკვირვების დღიურში ვინიშნავ მონაცემებს მოსწავლეთა აქტიურობის შესახებ და ვაწვდი განმავითარებელ შეფასებას. | | | | 1წთ |

**გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი:**
გამოხატავენ და წერილობით აყალიბებენ პირად განცდებსა და განწყობაზე დამყარებულ შთაბეჭდილებას, შეძლებენ ახალი, ინოვაციური იდეის გენერირებას, რომელსაც შემდეგ გააანალიზებენ და კრიტიკულად შეაფასებენ. განუვითარდებათ თვითშეფასებისა და პრეზენტაციის უნარი.

ლია გოგოხია
*ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი*

**გამოყენებული ლიტერატურა:**
1. მაღლაკელიძე ნ., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-8 კლასი, თბილისი 2012;
2. მარზანო რობერტ ჯ, ფიქერინგი დებრა ჯ, ფოლოქი ჯეინ ი – „ეფექტური სწავლება“. თბ., 2009;
3. ლობჟანიძე ს., მასწავლებლის წიგნი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, ინტერაქტიული მეთოდები პრაქტიკაში http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2017/01

## ახალი ამბები

# შემეცნებითი ფესტივალი



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა, **მიხეილ ბატიაშვილმა,** საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გამართულ „CERN-ის შემეცნებით ფესტივალზე“, სამეცნიერო და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ საერთაშორისო სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტების მნიშვნელობაზე და მათში ახალგაზრდების ჩართულობის პოზიტიურ შედეგებზე ისაუბრა.

მინისტრმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში CERN-ის სამეცნიერო და საგანმანათლებლო ღონისძიებები ტრადიციად იქცა, რადგან მსგავსი აქტივობები 15-20 წლის ახალგაზრდებში მეცნიერებისადმი ინტერესსა და კრეატიულობის მეტ მოტივაციას აღძრავს, რაც მათ უცხოელ თანატოლებთან თავის წარმოჩენის უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს.

მინისტრმა ხაზი გაუსვა CERN-ის ვორკშოფებს IT ტექნოლოგიებში, რომლის ლოგიკური გაგრძელება ტექნიკურ უნივერსიტეტში გრიდის კლასტერის შექმნის პროექტია. მან ყურადღება გაამახვილა, ასევე, მასტერკლასებზე სკოლის მოსწავლეებისათვის, რაც ახალგაზრდებში არნახულ ინტერესს იწვევს.

*„ჩვენი საბოლოო მიზანი ჩვენი ახალგაზრდების პროგრესი და განვითარებაა, მათი ჩამოყალიბებაა თავისუფალი საზოგადოების სრულფასოვან და ღირსეულ წევრებად“* – განაცხადა მიხეილ ბატიაშვილმა.

„CERN-ის შემეცნებითი ფესტივალი საქართველოში“ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ხასიათს ატარებს და სამ განსხვავებულ ღონისძიებას მოიცავს: CERN-ის მასტერკლასები სკოლის მოსწავლეებისათვის, CERN-ის სამეცნიერო-შემეცნებითი ვორკშოფები უმაღლესი და საშუალო სკოლის მასწავლებლებისა და მკვლევარებისათვის და Art@Science გამოფენა, რომლის ფარგლებშიც სამეცნიერო აღმოჩენებთან ასოცირებული ხელოვნების ნიმუშების პრეზენტაცია და მათ ავტორებთან შეხვედრა ეწყობა.



# ნაბიჯი თანადგომისკენ



ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კამპანიის ფარგლებში, ჩატარდა ვიდეორგოლებისა და სლოგანების კონკურსი „ნაბიჯი თანადგომისკენ“, რომელშიც 151 სკოლის 1702 მოსწავლე მონაწილეობდა. სპეციალურად შექმნილმა კომისიამ სამი გამარჯვებული გუნდი გამოავლინა, რომლებიც განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ, **ირინა აბულაძემ** დააჯილდოვა.

კონკურსის პირობების თანახმად, მოსწავლეებმა გენდერული თანასწორობის, ძალადობის, დისკრიმინაციის, ტოლერანტობის და ადრეული ქორწინების თემებზე გადაიღეს ვიდეორგოლები და შექმნეს სლოგანები.

პირველ ადგილზე ილია ჭავჭავაძის სახელობის რუსთავის №1 საჯარო სკოლა გავიდა, მეორე ადგილი თბილისის №130 საჯარო სკოლამ დაიკავა, მესამე ადგილი – ნოდარ დუმბაძის სახელობის ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლამ. გამარჯვებული გუნდები კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათებით დაჯილდოვდნენ.



ახალი

# Hüquqşünas məsləhəti

***Hansı halda sinif komplektinin yaradılmasına yol verilir və onun yaradılması haqqında qərarı kim qəbul edir?***

*Milli Tədris Planı müəyyən edir ki, kiçik kontingentli məktəblərdə sinif komplektlərin yaradılmasına icazə verilir. Sinifdə bir və ya iki şagird vardırsa, başqa siniflə sinif komplektin yaradılması tövsiyə edilir. Vacibdir ki, sinif komplektdə şagirdlərin ümumi sayı 10-u aşmasın və hər bir sinfin şagirdinə müvafiq fənn üçün Milli Tədris Planı ilə müəyyən edilmiş icbari saatların sayı keçilməlidir.*

*Sinif-komplektin yaradılması qanunla təyin edilmiş öhdəlik deyil və yalnız tövsiyə xarakterini daşıyır və onun haqqında qərarı ictimai məktəbin direktoru qəbul edir.*

***Hansı halda icazə verilir ki, iki müxtəlif sinfin bir sinif rəhbəri olsun?***

*Məktəbdə iki sinif üçün bir sinif rəhbərinin olmasına icazə verilir. Eləcə də tövsiyə olunur ki, bir sinif rəhbərinin ən azı 10 şagirdi olsun, yalnız məktəbdə şagirdlərin ümumi sayının 10 şagirddən az olduğu hallardan başqa. Bir sinfin şagirdlərinin başqa-başqa sinif rəhbərlərinin olmasına icazə verilmir.*

*Bir qayda olaraq, qeyd edilən proses, müvafiq cüzi büdcəsi olan, kiçik kontingentli məktəbdə maliyyələrin qənaətinə qulluq edir və belə ki, direktorun da qərarı maliyyə sübutu ilə bərkidilməlidir.*

***2003-cü ildə təhsilini başa vuran və müvafiq diplom əldə edən şəxsin təhsil proqramı b.a. "qiyabi" olduğu halda, onun əmək haqqının hesablanıldığı halda, təhsil səviyyəsi necə müəyyənləşdirilməlidir?***

*Qanunvericilik müəyyən edir ki, 2005-2006-cı dərs ilinin başlanılmasına qədər birpilləli, ən azı beşillik təhsil proqramını başa vurmaqla əldə edilən ali təhsil diplomu magistr diplomuna bərabərdir. Bu halda təhsil proqramının "qiyabi" olmasının heç bir əhəmiyyəti yoxdur və əmək haqqının hesablandığı zaman, adı çəkilən təhsil magistr dərəcəsinə bərabər olacaqdır.*

***Musiqi mərkəzinin müəlliminin hüququ varmı ki, eyni zamanda əmək haqqını və dövlət pensiyasını alsın?***

*Konkret müəssisədə işlə təmin olunan şəxsin dövlət pensiyasını alması üçün əmək haqqı ilə birlikdə lazımdır ki, qeyd edilən müəssisə ümumtəhsil, peşə və ya ali təhsil müəssisəsini, elmi-tədqiqat müəssisəsini, Gürcüstan Milli Elmlər Akademiyasını, Gürcüstan Kənd Təsərrüfatının Elmlər Akademiyasını, muzeyi, kitabxananı, məktəb-pansionu, məktəbəqədər təhsil müəssisəsini, məktəbdən kənar və ya tərbiyəvi işləri həyata keçirən müəssisəni təqdim etsin.*

*Musiqi mərkəzinin yuxarıda adı çəkilən hər hansı bir müəssisənin nəzdində olduğu halda, mərkəzin müəlliminin eyni zamanda əmək haqqı və dövlət təqaüdünü götürmək hüququ vardır.*

***4 illik proqram keçdiyim kolleci bitirmişəm. Bu halda, mənə magistr dərəcəsi ilə əmək haqqı düşürmü?***

*2000-ci ilə qədər alınmış 4 illik təhsilin magistr dərəcəsinə bərabər olması üçün təhsili təsdiqləyən sənədi (diplomu) verən müəssisə Ali təhsil müəssisəsini təqdim etməlidir. Digər halda, əmək haqqının verilməsi peşə təhsili üçün təyin edilən koefisientlə baş verəcəkdir.*

***Direktorun öz səlahiyyətlərini aşdığı halda, Qəyyumlar Şurası hansı hüquqlarla faydalanır?***

*Qəyyumlar Şurası səlahiyyətlidir ki, əmək müqaviləsi və Gürcüstan Qanunvericiliyi ilə nəzərdə tutulmuş tələblərin pozulduğu halda, məktəb direktorunun müqaviləsinə xitam versin. Amma qeyd edilən qərar əsaslandırılmalı və qanuni olmalıdır, çünki Qəyyumlar Şurası tərəfindən direktorun qanunsuz azad edilməsi bu orqanın istefasının əsasını təşkil edə bilər.*

***Direktorun hüququ varmı ki, ictimai məktəbdə mövcud vakant saatların olduğu halda, daxili müsabiqə keçirmədən açıq müsabiqə elan etsin?***

*Fənnin vakant saatlarının olduğu halda, ilk növbədə, onu daxili müsabiqə əsasında doldurmalıyıq və yalnız bundan sonra direktorun açıq müsabiqə keçirmək hüququ var. İstisna halı məktəbin uyğun mütəxəssisinin olmadığı təqdim edir. Belə bir halda, açıq müsabiqə birbaşa qayda ilə elan edilə bilər.*

***Təhsil müəssisəsinin direktorunun hüququ varmı ki, məktəbdə mövcud təmir işlərinə görə, müəllimlərin üzərinə götürdükləri öhdəliklərini yerinə yetirə bilmədikləri dövrdə onlara maaş versin?***

*Gürcüstan Əmək Məcəlləsi təyin edir ki, işəgötürən üzündən məcburi işdən yayınmanın haqqı işçiyə ödənilməlidir. Amma verilən halda, yayınmanın mütləq işəgötürənin günahı üzündən olmasını təyin etmək lazımdır.*

***İşəgötürənin dərs saatlarından boş vaxtda müəllimdən məktəbdə növbətçiliyi tələb etmək hüququ varmı?***

*Bir çox hallarda, xüsusi kiçik kontingentli məktəblərdə, təhlükəsizliyə əməl edilməsi məqsədilə, dərs prosesini başa vurduqlarından sonra müəllimlərdən məktəbdə növbətçilik etmələrini tələb edirlər ki, bu da qanun pozuntusudur. Müəllim dərs prosesini başa çatdırdıqdan, məktəb sənədlərini qaydaya saldıqdan, şagirdlə fərdi işlədikdən sonra yenə də məktəbdə qalmağa məcbur deyil.*

***Gürcüstan Müəllimləri və Alimlərinin Azad Həmkarlar İttifaqının hüquqşünası Meqi Sakandelizde tərəfindən hazırlanmışdır***

***Tərcüməçi – Qızxanım Əhmədova***

# იურისტის კონსულტაცია

***რა შემთხვევაშია დასაშვები კლას-კომპლექტის შექმნა და ვინ იღებს მისი შექმნის შესახებ გადაწყვეტილებას?***

*ეროვნული სასწავლო გეგმა განსაზღვრავს, რომ მცირეკონტინგენტიან სკოლებში დასაშვებია კლას-კომპლექტების შექმნა. თუ კლასში ერთი ან ორი მოსწავლეა, რეკომენდებულია სხვა კლასთან კლას-კომპლექტის შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ კლას-კომპლექტში მოსწავლეთა საერთო რაოდენობა არ აღემატებოდეს 10-ს და თითოეული კლასის მოსწავლეს უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი საგნისთვის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სავალდებულო საათების რაოდენობა.*

*კლას-კომპლექტის შექმნა არ არის კანონით დადგენილი ვალდებულება, მას მხოლოდ რეკომენდაციის ხასიათი აქვს და გადაწყვეტილებას მისი შექმნის შესახებ იღებს საჯარო სკოლის დირექტორი.*

***რა შემთხვევაშია დასაშვები, რომ ორ სხვადასხვა კლასს ჰყავდეს ერთი დამრიგებელი?***

*მცირეკონტინგენტიან სკოლაში დასაშვებია, რომ ორ სხვადასხვა კლასს ჰყავდეს ერთი დამრიგებელი, რეკომენდებულია ასევე, რომ ერთ დამრიგებელს ჰყავდეს არანაკლებ 10 მოსწავლისა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ სკოლაში მოსწავლეთა ჯამური რაოდენობა 10 მოსწავლეზე ნაკლებია. დაუშვებელია ერთი კლასის მოსწავლეებს ჰყავდეთ სხვადასხვა დამრიგებელი.*

*როგორც წესი, აღნიშნული პროცესი მცირეკონტინგენტიან სკოლაში, რომელსაც, შესაბამისად, აქვს მცირე ბიუჯეტი, ემსახურება ფინანსების დაზოგვას, ამდენად, დირექტორის გადაწყვეტილება გამყარებული უნდა იყოს ფინანსური დასაბუთებით.*

***იმ შემთხვევაში, თუ პირმა 2003 წელს დაასრულა უმაღლესი განათლების მიღება და მიენიჭა შესაბამისი დიპლომი, მაგრამ მისი საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენდა ე.წ. „დაუსწრებელს", როგორ უნდა განისაზღვროს მისი განათლების ხარისხი შრომის ანაზღაურების დაანგარიშებისას?***

*კანონმდებლობა განსაზღვრავს, რომ 2005-2006 სასწავლო წლის დაწყებამდე ერთსაფეხურიანი, არანაკლებ ხუთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად, მიღებული უმაღლესი განათლების დიპლომი გათანაბრებულია მაგისტრის დიპლომთან. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა იმას, რომ საგანამანათლებლო პროგრამა იყო „დაუსწრებელი" და, შრომის ანაზღაურების გამოთვლისას, ამგვარი განათლება უთანაბრდება მაგისტრის ხარისხს.*

***აქვს თუ არა მუსიკალური ცენტრის პედაგოგს უფლება, მიიღოს შრომის ანაზღაურება და სახელმწიფო პენსია ერთდროულად?***

*იმისათვის, რომ კონკრეტულ დაწესებულებაში დასაქმებულმა პირმა მიიღოს სახელმწიფო პენსია, შრომის ანაზღაურებასთან ერთად, აუცილებელია, აღნიშნული დაწესებულება წარმოადგენდეს ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას, მუზეუმს, ბიბლიოთეკას, სკოლა-პანსიონს, სკოლამდელი აღზრდის, სკოლისგარეშე ან სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელ დაწესებულებას.*

*თუ მუსიკალური ცენტრი რომელიმე ზემოჩამოთვლილ დაწესებულებასთან არსებულია, ამ შემთხვევაში, ცენტრის პედაგოგს უფლება აქვს, ერთდროულად მიიღოს შრომის ანაზღაურება და სახელმწიფო პენსია.*

***დამთავრებული მაქვს კოლეჯი, სადაც გავიარე 4-წლიანი პროგრამა. ამ შემთხვევაში, შრომის ანაზღაურება უნდა მომეცეს თუ არა მაგისტრის ხარისხით?***

*იმისათვის, რომ 2000 წლამდე მიღებული 4-წლიანი გა-*

განათლება გაუთანაბრდეს მაგისტრის ხარისხს, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი) გამცემი დაწესებულება უნდა წარმოადგენდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას. სხვა შემთხვევაში, შრომის ანაზღაურება მოხდება პროფესიული განათლებისათვის დადგენილი კოეფიციენტით.

***რა უფლებით სარგებლობს სამეურვეო საბჭო, დირექტორის მიერ უფლებამოსილების გადაჭარბების შემთხვევაში?***

*სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, შრომითი ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეუწყვიტოს სკოლის დირექტორს. თუმცა, აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და კანონიერი, ვინაიდან სამეურვეო საბჭოს მიერ დირექტორის უკანონო გათავისუფლება, შესაძლოა, ამ ორგანოს დათხოვნის საფუძველი გახდეს.*

***აქვს თუ არ უფლება დირექტორს, საჯარო სკოლაში არსებული ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში, გამოაცხადოს ღია კონკურსი შიდა კონკურსის გამოცხადების გარეშე?***

*საგნის ვაკანტური საათების არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია, პირველ რიგში, მისი შევსება მოხდეს შიდა კონკურსის საფუძველზე და მხოლოდ ამის შემდგომ აქვს დირექტორს უფლება, გამოაცხადოს ღია კონკურსი. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როცა სკოლაში შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტი არ არის. ასეთ შემთხვევაში, შესაძლებელია, ღია კონკურსი პირდაპირი წესით გამოცხადდეს.*

***აქვს თუ არა უფლება საგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორს, გასცეს ხელფასი იმ პერიოდში, როდესაც მასწავლებლები სკოლაში არსებული სარემონტო სამუშაოების გამო ვერ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას?***

*საქართველოს შრომის კოდექსი ადგენს, რომ დამსაქმებლის ბრალით გამოწვეული იძულებითი მოცდენა უნდა აუნაზღაურდეს დასაქმებულს. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ის, რომ მოცდენა უნდა იყოს გამოწვეული აუცილებლად დამსაქმებლის ბრალით.*

***არის თუ არა უფლებამოსილი დამსაქმებელი, მოსთხოვოს მასწავლებელს სკოლაში მორიგეობა, საგაკვეთილო საათებისაგან თავისუფალ დროს?***

*ხშირად, განსაკუთრებით მცირეკონტინგენტიან სკოლებში, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, პედაგოგოებისაგან მოითხოვენ სკოლაში მორიგეობას მაშინ, როდესაც მათ დაასრულეს საგაკვეთილო პროცესი, რაც კანონის დარღვევაა. მასწავლებელი არ არის ვალდებული, საგაკვეთილო პროცესის დასრულების, სასკოლო დოკუმენტაციის მოწესრიგებისა და მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობის შემდგომ, კვლავ იმყოფებოდეს სკოლაში.*

***მომზადებულია საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტის, მეგი საკანდელიძის მიერ***

# *Իրավաբանի խորհրդատվություն*

***Ո՞ր դեպքերում է թույլ տրվում ստեղծել համակազմ դասարան, և ո՞վ է կայացնում դրա ստեղծման մասին որոշումը:***

*Ազգային ուսումնական պլանը սահմանում է, որ փոքր քանակակազմով դպրոցում թույլ է տրվում ստեղծել համակազմ դասարաններ: Եթե դասարանում մեկ կամ երկու աշակերտ է, խորհուրդ է տրվում համակազմ դասարան ստեղծել այլ դասարանի հետ: Կարևոր է, որ համակազմ դասարանում աշակերտների ընդհանուր թիվը չգերազանցի 10 աշակերտը, և յուրաքանչյուր աշակերտի համար պետք է անցկացվի համապատասխան առարկայի Ազգային ուսումնական պլանով սահմանված պարտադիր ժամաքանակը:*

*Համակազմ դասարանի ստեղծումը Օրենքով սահմանված պարտավորություն չէ, այն ունի լոկ երաշխավորական բնույթ, և որոշումը դրա ստեղծման մասին կայացնում է հանրային դպրոցի տնօրենը:*

***Ո՞ր դեպքերում է թույլատրելի, որ երկու տարբեր դասարաններ ունենան մեկ դասղեկ:***

*Փոքր քանակակազմով դպրոցում թույլատրվում է, որ երկու տարբեր դասարաններ ունենան մեկ դասղեկ: Երաշխավորվում է նաև, որ մեկ դասղեկն ունենա 10 աշակերտից ոչ պակաս, բացառությամբ այն դեպքի, երբ դպրոցում աշակերտների ընդհանուր թիվը 10 աշակերտից պակաս է: Թույլ չի տրվում,, որ մեկ դասարանի աշակերտներն ունենան տարբեր դասղեկներ:*

*Որպես կանոն, այդ գործընթացը փոքր քանակակազմով դպրոցում, որը, համապատասխանաբար, ունի փոքր բյուջե, ծառայում է ֆինանսների խնայողությանը: Ուստի տնօրենի որոշումը պետք է ամրապնդված լինի ֆինանսական հիմնավորմամբ:*

***Եթե անձը բարձրագույն կրթություն ստանալու գործընթացն ավարտել է 2003 թվականին և ստացել դիպլոմ, բայց նրա կրթական ծրագիրը հանդիսանում էր այսպես կոչված «հեռակա» ուսուցմամբ, աշխատավարձի հաշվարկման համար ինչպե՞ս պետք է սահմանվի նրա կրթության աստիճանը:***

*Օրենսդրությունը սահմանում է, որ մինչև 2005-2006 ուսումնական տարվա սկիզբը մեկ աստիճանանոց, առնվազն հնգամյա կրթական ծրագիր ավարտելու արդյունքում ստացած բարձրագույն կրթության դիպլոմը հավասարեցված է մագիստրոսի դիպլոմին: Այս պարագայում կարևոր չէ, որ կրթական ծրագիրը «հեռակա ուսուցմամբ էր», և աշխատավարձի հաշվարկման ժամանակ նման կրթության աստիճանը հավասարվում է մագիստրոսի աստիճանին:*

***Արդյոք երաժշտական կենտրոնի ուսուցիչն իրավունք ունի՞ միաժամանակ ստանալ աշխատավարձ և պետական կենսաթոշակ:***

*Որպեսզի կոնկրետ հաստատությունում աշխատող անձը աշխատավարձի հետ մեկտեղ պետական կենսաթոշակ ստանա, անհրաժեշտ է, որ տվյալ հաստատությունը հանդիսանա հանրակրթական, մասնագիտական կամ բարձրագույն կրթական հաստատություն, գիտահետազոտական հաստատություն, Վրաստանի գիտությունների ազգային ակադեմիան, Վրաստանի գյուղատնտեսական գիտությունների ակադեմիան, թանգարան, գրադարան, գիշերօթիկ դպրոց, նախադպրոցական հաստատություն կամ դաստիարակչական գործունեություն իրականացնող հաստատություն:*

*Եթե երաժշտական կենտրոնը վերոթվարկյալ հաստատություններից որևէ մեկին կից է, այս դեպքում, Կենտրոնի մանկավարժն իրավունք ունի միաժամանակ ստանալ աշխատավարձ և պետական կենսաթոշակ:*

***Ավարտել եմ քոլեջ, որտեղ անցել եմ քառամյա ծրագիր: Այս դեպքում արդյոք ինձ աշխատավարձը պետք է տրվի՞ մագիստրոսի աստիճանով:***

*Որպեսզի մինչև 2000 թվականը ստացած քառամյա կրթությունը հավասարեցվի մագիստրոսի աստիճանին, կրթությունը հավաստող փաստաթուղթը (դիպլոմը) հատկացնող հաստատությունը պետք է լինի բարձրագույն կրթական հաստատություն: Հակառակ դեպքում աշխատավարձի հատկացումը տեղի կունենա մասնագիտական հաստատության համար սահմանված գործակցով:*

***Ի՞նչ իրավունքից է օգտվում հոգաբարձուների խորհուրդը տնօրենի կողմից լիազորությունների վերազանցման դեպքում:***

*Հոգաբարձուների խորհուրդն իրավազոր է, աշխատանքային պայմանագրով և Վրաստանի օրենսդրությամբ ամրագրված պահանջները խախտելու դեպքում, տնօրենի հետ դադարեցնել պայմանագիրը: Սակայն, որոշումը պետք է լինի հիմնավորված և օրինական, քանի որ հոգաբարձուների խորհրդի կողմից տնօրենին պաշտոնից ապօրինաբար ազատելը կարող է այդ մարմինը ցրելու հիմք դառնալ:*

***Արդյոք տնօրենն իրավունք ունի՞ հանրային դպրոցում թափուր ժամերի առկայության դեպքում առանց ներքին մրցույթ հայտարարելու հայտարարել բաց մրցույթ:***

*Առարկայի թափուր ժամերի առկայության դեպքում անհրաժեշտ է նախ և առաջ այն լրացնել ներքին մրցույթի հիման վրա, և դրանից հետո միայն տնօրենն իրավունք ունի բաց մրցույթ անցկացնել: Բացառությունն այն դեպքն է, երբ դպրոցում չկա համապատասխան որակավորում ունեցող մասնագետ: Նման դեպքում կարելի է բաց մրցույթ հայտարարել ուղղակի կարգով:*

***Ուսումնական հաստատության տնօրենն իրավունք ունի՞ վճարել աշխատավարձ այն ժամանակահատվածի համար, երբ ուսուցիչները դպրոցում իրականացվող վերանորոգչական աշխատանքների պատճառով չեն կարող կատարել իրենց պարտականությունները:***

*Վրաստանի աշխատանքային օրենսգիրքը սահմանում է, որ գործատուի մեղքով հարկադրված պարապուրդի շրջանում աշխատողը պետք է վճարվի: Սակայն, տվյալ դեպքում կարևոր է այն, որ պարապուրդն անպայման հարուցված լինի գործատուի մեղքով:*

***Գործատուն արդյոք իրավազո՞ր է ուսուցչից պահանջել դպրոցում հերթապահություն անել դպրոցական ժամերից դուրս ժամանակահատվածում:***

*Հաճախ, հատկապես փոքր քանակակազմով դպրոցներում, անվտանգության պահպանման նկատառումով մանկավարժներից պահանջում են դպրոցում հերթապահել այն ժամանակ, երբ նրանք ավարտել են դասի գործընթացը, ինչն Օրենքի խախտում է: Ուսուցիչը պարտավոր չէ դասերի գործընթացն ավարտվելուց, դպրոցական փաստաթղթերի կարգավորումից և աշակերտի հետ անհատական աշխատանքից հետո վերստին գտնվել դպրոցում:*

***Պատրաստվել է Վրաստանի մանկավարժների և գիտնականների ազատ արհմիությունների իրավաբան Մեգի Սագանելիձեի կողմից***

Թարգմանությունը՝ Զոյա Մխիթարյանի

მშობელთა კრება

# გაზიარებული ყურადღება




**მნიშვნელოვანია უფროსის მიერ ბავშვის ემოციური რეგულაციის მართვა.** ბავშვი თვითონ ვერ მართავს თავის სიბრაზეს, გაღიზიანებას. უფროსმა უნდა შეუქმნას ისეთი სიტუაცია, რომ ბავშვმა მოახერხოს თავისი ემოციების დაძლევა. მას არჩევანის გაკეთებაც უნდა ვასწავლოთ და ქცევის თვითმართვაც. დღეს ჩვენთან ადამიანებმა არ იციან არჩევანის გაკეთება და არც პრიორიტეტების დასახვა. უნდათ ყველაფერი ერთად. რა არის პრიორიტეტები? პატარა ბავშვის შემთხვევაში, არჩევანი, მაგალითად, კატლეტი უნდა თუ წვნიანი, ლურჯი შარვალი თუ მწვანე, ეს არჩევანი მას პატარაობიდან, ბავშვობიდანვე უნდა ჰქონდეს. რატომ? იმიტომ, რომ ასე აგებს პასუხს საკუთარ ქცევაზე. თუ ის აირჩევს ლურჯ შარვალს, ვთქვათ, წითლის მაგივრად, და მერე გეტყვის, არა, აღარ ჩავიცვამ ლურჯ შარვალს, შენ ძალიან მშვიდად უნდა უთხრა – ეს არის შენი არჩევანი, ჩემო საყვარელო, ამიტომ წითელ შარვალს ვერ ჩაგაცმევ. შენ აირჩიე ლურჯი. შეიძლება ამას მოჰყვეს სერიოზული ისტერიკა და ტირილი, თქვენ ძალიან მშვიდად შეხედავთ და ისევ გაუმეორებთ, რომ ეს არის შენი არჩეული ლურჯი შარვალი. ეს მდგომარეობა ცოტა ხანი გაგრძელდება და მერე სიტუაცია დამშვიდდება. როგორც წესი, ასე ხდება ხოლმე.

**ქცევის თვითმართვა,** რეალურად, არის პასუხისმგებლობის აღება საკუთარი ქცევის შედეგებზე. სამწუხაროდ, ეს საქართველოში არ ვიცით, პასუხისმგებლობა არავის არ გვაქვს. ასე რომ მოიქცევი, რა შედეგი მოჰყვება, არავის აინტერესებს. ამას ბავშვობიდან სწავლობენ, მაგალითად, ბავშვმა იცის, რომ თუ ახლა არ გამორთო ტელევიზორი, კანფეტი არ ექნება. ვაჭრობაა? კი! მაგრამ ეს ძალიან სასარგებლო ვაჭრობაა იმიტომ, რომ ბავშვი, განსხვავებით ჩვენგან, ძალიან მატერიალისტია. ბევრი ლაპარაკი და ახსნა-განმარტება არ სჭირდება, აზრი არ აქვს, მას უბრალოდ არ ესმის. მშობლები მეუბნებიან ხოლმე, ვუხსნი, მაგრამ... ორი წლის ბავშვს ახსნა-განმარტება არ სჭირდება, ძალიან მშვიდად, ჩხუბის გარეშე ეუბნები, არა ერთხელ, ამიტომ და ამიტომ და მორჩა. შესაბამისად, მან ძალიან კარგად იცის, რომ კანფეტი ექნება ჭამის შემდეგ, ისადილებს და მერე. თუ ატეხავს ისტერიკას, კანფეტი არ ექნება. 2-3 წლამდე ასაკში ამის გაკეთება შესაძლებელია, შვიდი წლის ასაკში ამას ველარ გააკეთებ, უკვე გვიანაა და შესაბამისად, კანფეტი კი არა, ძალიან სერიოზული ბრძოლები შეიძლება მოხდეს იმის გამო, რომ შვილს სურვილს არ უსრულებ. ასეც ხდება, საქმე ცემა-ტყეპამდეც კი მიდის ხოლმე.

ხელის გაშვერა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჟესტი **კომუნიკაციისთვის**. პირველი, რასაც ვეკითხებით ხოლმე მშობლებს, იშვერს თუ არა ერთი წლის ასაკის ბავშვი თითს. თითის გაშვერა ნიშნავს იმას, რომ ჩემი შვილი რაღაცას მიჩვენებს და ასე მეურთიერთება, მიზიარებს. მაგალითად, მივდივართ ქუჩაში, დაინახა მანქანა და გაიშვირა ხელი – პიპია. ეს მეტყველებისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია. როცა მშობელი გვეუბნება, რომ ჩემი შვილი ამას არ აკეთებს, ეს ძალიან ცუდია.

ამ ჟესტის მეორე დანიშნულებაა იმპერატიული – რაიმეს ითხოვს. იშვერს თითს, იქ არის კაკა და კაკა უნდა. მომე კაკა – გეუბნება და თითს იშვერს. ესეც ძალიან სასარგებლოა ერთი წლის ასაკში. **უფროსის ყურადღების მიქცევა** – შენი ყურადღება რომ მიიქციოს, იშვერს თითს, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია და ამ ყველაფერს ერთობლივად ჩვენ გაზიარებული ყურადღების წინაპირობას ვეძახით. როდესაც ეჭვი გვეპარება ხოლმე, ჩვენც და მშობელსაც, ხანდახან, აქვს თუ არა ბავშვს აუტისტური სპექტრის აშლილობა, ვეკითხებით, იშვერს თუ არა ბავშვი თითს. ძალიან ხშირად ასეთი ბავშვების მშობლები გვეუბნებიან, რომ არ იშვერს თითს, არ მიზიარებს არც სათამაშოს, არც თავის მოქმედებას, არ აქვს გაზიარების უნარი. ეს უნარი ერთი წლიდან ყალიბდება და უნდა ვიყოთ ძალიან ყურადღებით. ერთი წლის ასაკის ბავშვს უკვე სოციალური ჟესტები აქვს – დამშვიდობება, კოცნა... ეს უნარები მერე აღარ გამოუმუშავდება.

როგორ უნდა შევუწყოთ ხელი 2-3 წლამდე ასაკის ბავშვის განვითარებას და ჩვენს ცხოვრებაში შემოსული კომპიუტერები და ტელევიზორები ამაში ძალიან გვიშლიან ხელს. ბევრი თვლის, რომ მე კომპიუტერული ტექნიკის მტერი ვარ. ეს ასე ნამდვილად არ არის. პირიქით, მიმაჩნია, რომ სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში ეს განუყრელი ინსტრუმენტია და პირიქით, ჩვენ ვნერგავთ ხოლმე კომპიუტერულ ტექნოლოგიებს რეაბილიტაციის პროცესში, ადამიანების დასახმარებლად. მაგრამ 2 წლამდე ასაკში კომპიუტერის და ტელევიზორის გამოყენება დამღუპველია.

**რატომ არ უნდა ჰქონდეს 2 წლამდე ასაკის ბავშვს წვდომა კომპიუტერთან და ტელევიზორთან**. გადაცემების უმეტესობა არ არის ქართულ ენაზე. თქვენ ვერ წარმოიდგეთ, რა რაოდენობის ბავშვი მოდის ჩვენთან 2 წლის ასაკში, ვითომ ინგლისურად და რუსულად მოლაპარაკე, ამ დროს ქართულად ვერ ლაპარაკობს, საუბრობს რაღაც გაუგებარ რუსულ-ინგლისურ ენაზე. იცის ფერები, ფორმები, რასაც უყურებს კომპიუტერში თუ ტელევიზორში. 2 წლის ბავშვმა ფერის დასახელება არ უნდა იცოდეს, ეს მას არ ევალება არც ერთ ენაზე. დიდი-პატარა უნდა იცოდეს, მაგრამ შეიძლება ერთი ფერი იცნოს, ისიც დასახელებით არა, უბრალოდ გამოარჩიოს წითელი სხვა ფერებიდან. სენსიტიური პერიოდია, როდესაც ტვინი, საფეთქლის უბნები, შუბლის უბნები – ის უბნები, რომლებიც პასუხს აგებენ მეტყველებაზე, ძალიან აქტიურად ვითარდება და ყალიბდება. ამ დროს ამ უბნებს თავისი სტიმული სჭირდება, გამღიზიანებელი. რა არის ენის გამღიზიანებელი? სიტყვა, ცოცხალი სიტყვა. ძალიან ბევრი ექსპერიმენტია ჩატარებული, სხვათა შორის იაპონელებმა ჩაატარეს ასეთი ექსპერიმენტი – მშობლის ლაპარაკი შეადარეს კომპიუტერიდან გაგონილს. აღმოჩნდა, რომ მშობლისა და ძიძის ცოცხალი საუბარი ბევრად მეტ სტიმულს აძლევს ბავშვის მეტყველების განვითარებას.

როდესაც ბავშვი მიწებებულია კომპიუტერთან, ერთი უარყოფითი მხარეა ენა და მეორე, ყველაზე მნიშვნელოვანი – **მოძრაობა**. რატომ არის დიაბეტი ძალიან გავრცელებული პატარა ბავშვებში, იმიტომ, რომ არ მოძრაობენ, ჰაერზე ვერ გაყავთ. იმიტომ რომ, როდესაც კომპიუტერს ან ტელევიზორს უყურებენ, თან სასუსნავებს მიირთმევენ. ბავშვს ეზღუდება მოძრაობის საშუალება და ექსპანსიას ვერ აკეთებს, ამიტომ მოტორულ განვითარებაში ძალიან სერიოზული პრობლემები შეიძლება შეიქმნას.

ყველაზე მნიშვნელოვანი – **მეტყველება**. ბავშვს დამლაპარაკებელი არავინ ჰყავს, ძიძამ, საუკეთესო შემთხვევაში, უნდა მოუაროს კარგად, მშობელს არ სცალია იმიტომ, რომ დაღლილი ბრუნდება სამსახურიდან და უამრავი სხვა საქმე უნდა აკეთოს, ამიტომ უხარია, როცა ბავშვი თავისთვის ზის და რაღაცას აკეთებს. თან მშობლებში გავრცელებულია აზრი, რომ კომპიუტერი ბავშვს ავითარებს. 7 წლისას – კი, მაგრამ 2 წლის ბავშვს – არა. როგორ ვითარდება აზროვნება, გარემოსთან უშუალო ურთიერთობით. ასეთი შემთხვევა გვქონდა, ერთ პატარა ბავშვს, რომელიც ჩვენთან იყო მოსული, სათამაშო ფისო დავანახე, მე ოთახის ბოლოს ვიდექი და, იცით, რა ქნა (სხვა ბავშვი რას იზამდა? მოირბენდა და შეხედავდა ამ ფისოს)? ეს არც კი განძრეულა, ხელის მოძრაობით სცადა (როგორც ტელეფონზე) ეკრანის გადიდება, რომ ფისო კარგად დაენახა. ეს არ არის ნორმალური.

შესაბამისად, მოტორიკის განვითარება ხომ გვიანდება და რაც მთავარია, გვიანდება მეტყველების განვითარება იმიტომ, რომ უცხო ენაზე ესმით რაღაცები, თან ეს ყველაფერი მხოლოდ ვიზუალურია. მე, როგორც ნეიროფსიქოლოგს (მართალია კვლევა არ ჩამიტარებია), მგონია, რომ ამ შემთხვევაში, მარცხენა ჰემისფერო, რომელიც არის ჩვენი მეტყველების ჰემისფერო, კარგად არ ვითარდება და შედეგი იცით რა არის? ბავშვს, რომელსაც ისედაც პრობლემა აქვს მეტყველებაში, მაგრამ ჩვენ ჯერ ეს არ ვიცით, ისეთი რამ ემართება კომპიუტერისგან, რომ სხვა გამღიზიანებლებს მისი ტვინი აღარ უშვებს და ეს მდგომარეობა ძალიან გავს აუტიზმის მიმიკრიას, შეიძლება ადვილად შეგეშალოს აუტიზმში. ეს ქმნის ტვინის პრობლემას, გარემოდან მიღებული სტიმულების გადამუშავებაში. როგორც კი მოაშორებ ბავშვს კომპიუტერს, მაშინვე ცოტა აზრზე მოვა, თვალებში გამოიხედავს, ადამიანებს შეამჩნევს... ძალიან ბევრ მშობელს უთქვამს ეს.

ახალი ამბები

# იტალიურ-ქართული ურთიერთობები – ენა და კულტურა

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და ქართულ-იტალიურ საგანმანათლებლო არასამთავრობო ორგანიზაცია „მინერვას“ შორის ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანია განათლების სისტემაში იტალიური ენისა და კულტურის დანერგვის ხელშეწყობა.

მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მეორანდუმს ხელი მოაწერეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ, **მანანა რატიანმა** და „მინერვას“ პრეზიდენტმა, **მაია ჯიჯავამ**. ხელმოწერის ცერემონია გაიმართა იტალიური ენის მეთვრამეტე მსოფლიო კვირეულისადმი მიძღვნილი ვებინარის „იტალიურ-ქართული ურთიერთობები, ენა და კულტურა“ ფარგლებში, რომელიც 17-18 ოქტომბერს გაიმართა. მემორანდუმის თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ უზრუნველყონ იტალიური ენის მასწავლებელთა გადამზადება, რაც დაფუძნებული იქნება როგორც პირისპირ, ასევე, ონლაინ სწავლებაზე.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მინერვას“ ხელმძღვანელმა აიღო ვალდებულება ცენტრთან ითანამშრომლოს, ყოველწლიურად, იტალიურენოვანი მოხალისე მასწავლებლების შერჩევის პროცესში ცენტრის პროგრამის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში. პროგრამის ფარგლებში ჩამოდიან უცხოენოვანი მოხალისე მასწავლებლები და საქართველოს სხვადასხვა საჯარო სკოლასა და პროფესიულ სასწავლებელში ასწავლიან უცხო ენებს.




პირველ ეტაპზე, პროგრამასთან და მოხალისე მასწავლებლებთან ითანამშრომლებს 12 ადგილობრივი იტალიური ენის მასწავლებელი, რომლებსაც, პროგრამის ფარგლებში, მიეცემათ საშუალება, აიმაღლონ როგორც ენობრივი კომპეტენცია, ასევე ზოგადი პროფესიული უნარები.

*„ჩვენი მასწავლებლების ენობრივი კომპეტენციების გაძლიერება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია აღნიშნული მემორანდუმის. ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებულ ენებს დაემატა იტალიური ენა. ეს აჩენს შესაძლებლობას, მოსწავლეებმა ისწავლოსნ იტალიური, როგორც მეორე და მესამე უცხო ენა. ეს ხარისხიანად არ მოხდება, თუკი არ გვეყოლება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლები,“* – განაცხადა მანანა რატიანმა.

ამასთან, არასამთავრობო ორგანიზაცია ითანამშრომლებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრთან იტალიური ენის სასწავლებლად საჭირო სასწავლო რესურსების მოძიების საქმეში და დაეხმარება იტალიური ენის მოხალისე მასწავლებლებს სასწავლო დაწესებულებებში პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებაში.

მხარეები ასევე თანხმდებიან, განახორციელონ იტალიურ და ქართულ სკოლებს შორის გაცვლითი კულტურული პროგრამები, რაც ქვეყნებს შორის მოსწავლეების, მასწავლებლების დაახლოებას და საგანმანათლებლო სისტემებში მიმდინარე პროცესების უკეთ გაცნობას შეუწყობს ხელს. მემორანდუმის ფარგლებში მასწავლებლებისთვის ერთობლივი პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების განხორციელებაც იგეგმება.

* * *

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და ქართულ-იტალიურ საგანმანათლებლო არასამთავრობო ორგანიზაცია „მინერვას“ ორგანიზებით გაიმართა ინოვაციური სასწავლო ონლაინ პლატფორმის „e-Learning Minerva”-ს (Moodle-ის ტექნოლოგიებზე დაყრდნობით შექმნილი) პრეზენტაცია და ორდღიანი ტრენინგი იტალიური ენის მასწავლებლებისთვის, რომელიც საქართველოში იტალიური ენის მასწავლებლებისა და მოსწავლეების ხელშეწყობისთვის შეიქმნა.



მონაწილეებს ელექტრონული სასწავლო პლატფორმა (www.ngominerva.eu) გააცნო და ტრენინგი ჩაუტარა ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების და განვითარების ინსტიტუტის (Minerva INTIS) ხელმძღვანელმა, კომპიუტერული ტექნოლოგიების ინჟინერმა, **ჯოვანი ჯაკომანტონიომ**. ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების და განვითარების ინსტიტუტი ქართულ-იტალიურ საგანმანათლებლო არასამთავრობო ორგანიზაცია „მინერვა“-ში შემავალი ინსტიტუტი და ამ ორგანიზაციის ნაწილია ისევე, როგორც იტალიური ენისა და კულტურის ცენტრის „მინერვა“ – Minerva CLCI. ონლაინ პლატფორმა „e-Learning Minerva“ შეიქმნა და დაფინანსდა ახალი ტექნოლოგიების, ინოვაციების და განვითარების ინსტიტუტის მიერ. ტრენინგი „მინერვასთან“ ერთად, იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, საქართველოში იტალიის საელჩოს თანადაფინანსებით გაიმართა.

# რეკორდული თამაშები

საქართველოს დელეგაციამ 6 მედლით დაასრულა ზაფხულის მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები: 1 ოქრო, 4 ვერცხლი და 1 ბრინჯაო. ამ თამაშების არცთუ ხანგრძლივ ისტორიაში ჩვენგან პირველი ოქროს მედალი სენაკელმა ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე **გიორგი ჩხიკვაძემ** (60) მოიპოვა, მეორეზე მისივე თანაგუნდელი, ოზურგეთელი **გიორგი თოხაძე** (51), თავისუფალ სტილში მოჭიდავე გორელი **გიორგი გეგელაშვილი** (48), ტყიბულელი ძიუდოისტი **ილია სულამანიძე** (100) და ბათუმელი ძალოსანი **არჩილ მალაყმაძე** (69) გავიდნენ, მესამეზე – ქუთაისელი ტყვიის მსროლელი **ნინო ხუციბერიძე**, რომელიც პნევმატური პისტოლეტიდან ისროდა და ამ თამაშებზე ჩვენი პირველი მედალოსანი გახდა. საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველო 44-ეა.

შეგახსენებთ, რომ ამ თამაშებს, 6 ოქტომბრიდან მოყოლებული, ორი კვირის განმავლობაში, არგენტინის დედაქალაქმა ბუენოს აირესმა უმასპინძლა, რომელმაც ესტაფეტა სენეგალის დედაქალაქ დაკარს გადაულოცა, თავად მშვენივრად გაართვა თავი საორგანიზაციო საკითხებს და თამაშები იმდენად კარგად ჩაატარა, რომ, თვით საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, **თომას ბახმა** შესთავაზა, 2032 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობაზე შეეტანათ განაცხადი. თქვენ დიდი ოლიმპიადის მასპინძლობასაც შეძლებთო, მიმართა ბახმა არგენტინელებს.

მესამე თამაშები საქართველოსთვის ჯერ კიდევ მის დაწყებამდე გახდა რეკორდული: გამოვდიოდით სპორტის ათ სახეობაში 15 სპორტსმენით, ამდენი კი ადრე არც მონაწილე გვყოლია და არც სახეობა გვქონია. საბედნიეროდ, ახლა ამ რეკორდებს ახალი მიღწევებიც დაემატა: მოვიპოვეთ პირველი ოქრო; მკვეთრად გავაუმჯობესეთ წინა თამაშების შედეგები: თუ აქამდე იმ ორ ოლიმპიადაში სულ 4 მედალი გვქონდა, ახლა ამ ერთში გვაქვს 6. ცხადია, ამაზე არ გავჩერდებით და 2022 წელს, სენეგალში, ახალ სიმაღლეებს შევუტევთ.

საინტერესოა, რომ 10 სახეობიდან 5-ში მოვიპოვეთ მედალი (თუმცა 6 დისციპლინაა, რადგან ჭიდაობის ორივე სახეობაში გვყავს პრიზიორი). ამასთან, იყო რამდენიმე სახეობა, სადაც მოსალოდნელზე კარგი შედეგი მივიღეთ. მაგალითად, მხატვრული ტანმოვარჯიშე **ქეთევან არბოლიშვილს** 15-ეულში მოხვედრას უგეგმავდნენ, ის კი მე-10 ადგილზე გავიდა და ძალიან ცოტა დააკლდა ფინალში, ანუ 8 საუკეთესოში მოხვედრამდე. ასევე სიურპრიზი იყო კალათბურთელების გამოსვლა 3X3-ში. მათ გამოსვლა უსიამოვნო ინციდენტით დაიწყეს – ქალაქში არსებული საცობების გამო პირველ თამაშზე დააგვიანეს სლოვენიასთან და ტექნიკური წაგება ჩაეთვალათ. შემდეგ ქვეჯგუფში ყველა მეტოქეს მოუგეს და მეოთხედფინალში გავიდნენ, სადაც მასპინძელ არგენტინასთან წააგეს, თუმცა 8 საუკეთესოს შორის მაინც მოხვდნენ.

ერთი სიტყვით, „ბუენოს აირესი-2018“ წარმატებით დამთავრდა – ჩვენთვისაც და მასპინძლებისთვისაც, წინ კი „სენეგალი-2022“ გველოდება.



# წარმატება ბაჰამებზე

საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა ბიჭების ნაკრებმა, ერთი თვის წინ, დიდი წარმატებით იასპარეზა სოფიაში ჩატარებულ თანატოლთა ევროპის ჩემპიონატში, სადაც 6 მედალი მოიპოვა: 3 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ახლა კი არანაკლები წარმატებით გამოვიდნენ გაცილებით ძლიერ შეჯიბრებაში – მსოფლიო ჩემპიონატში, სადაც თითქმის იმდენივე – 5 ჯილდო დაისაკუთრეს: 2 ოქრო და 3 ბრინჯაო.

ეს ტურნირი ეგზოტიკური ბაჰამის კუნძულების დედაქალაქ ნასაუში ჩატარდა, სადაც თბილისელმა მძიმეწონოსანმა **გელა ზაალიშვილმა** სეზონში დუბლი შეასრულა და, ევროპის ჩემპიონობის შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონიც გახდა. ბაჰამებზე ჩვენს ნაკრებს პირველი ოქრო ფენომენალურმა **ლაშა ბექაურმა** (90) მოუტანა, მესამეზე კი **ჯაბა პაპინაშვილი** (60), **ლუკა მაისურაძე** (81) და **ონისე სანებლიძე** (100) გავიდნენ. შეგახსენებთ, რომ პაპინაშვილი ახალგაზრდებში მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონია, თუმცა მაშინ ქვედა წონაში – 55-ში გამოდიოდა, წლეულს კი ახალ წონაში ევროპის ჩემპიონატზეც მესამე იყო, ხოლო მაისურაძე და სანებლიძე ევროპის წლევანდელი ჩემპიონები არიან.

სამწუხაროდ, ბაჰამებზე გოგონები უმედლოდ დარჩნენ, ბიჭებისთვის კი 5 მედალი ისტორიულია: მსოფლიოს ჩემპიონატზე ასეთი შედეგი არასოდეს მოგვიპოვებია. არადა, ორი დასანანი მარცხი რომ არა, შედეგი რაოდენობრივადაც უკეთესი იქნებოდა და – ხარისხობრივადაც. პირველი სანებლიძის წაგებაა ნახევარფინალში ჰოლანდიელ **სიმეონ კატარინასთან**, როცა თავად გამოუწერა საკუთარ თავს წაგება, თორემ დიდი ალბათობით, ევროპის ჩემპიონატის მსგავსად, აქაც სამი ოქრო გვექნებოდა (ევროპაზე ის ჩემპიონი გახდა), მეორე კი მაისურაძის არასაკმარისი გარჯაა მეოთხედფინალში უნგრელ **რობერტ რაჯკაისთან**: ჩვენებურს ნამდვილად შესწევდა მისი დამარცხება და მერე, ნახევარფინალშიც, თუ იმარჯვებდა, უკეთესი შედეგი ხომ ექნებოდა, თუ არადა, რომც წაეგო, დამამშვიდებელში თანაგუნდელ **ტატო გრიგალაშვილს** ასცდებოდა, რომელსაც ბრინჯაოს მოპოვების დიდი შანსი ჰქონდა. ამის თქმის საფუძველს ბაჰამებზე ტატოს ჭიდაობის ხარისხი გვაძლევს, მაისურაძესთან კი, უბრალოდ, უჭირს ჭიდაობა. შეგახსენებთ, რომ ისინი სექტემბერში ევროპის ჩემპიონატის ფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინაც მაისურაძემ მოუგო. ის ერთი წლით უფროსია გრიგალაშვილზე და, როგორც ჩანს, მისთვის უხერხული მეტოქეცაა.

ამ ნაკრებში ხსენებული ტურნირის უდავო აღმოჩენად ბექაური უნდა მივიჩნიოთ, სეზონის უდიდესი სენსაციაცაა – ჭაბუკებიდან წლეულს გადმოვიდა, თანაც ორი წონით მაღლა აინაცვლა და ამხელა წარმატებაც მოიპოვა. მისი გამარჯვების შესაფასებლად ისიც კმარა, რომ ბაჰამებზე, საჩემპიონო გზაზე ორი იაპონელი დაამარცხა – მეოთხედფინალსა და ფინალში. თანაც ფინალში ჩინებულად მოჭიდავე **სანშირო მურაო** სულ რაღაც 35 წამში გამოცელა უკნიდან და ტომარასავით მოწყვეტით დაადგო ბეჭებზე. იაპონელები ძიუდოში იშვიათად აგებენ, არათუ ორი ერთად, ბექაურმა კი მურაომდე **კოსუკე მაშიამაც** დაამარცხა მეოთხედფინალში, მერე მეორედაც მოუგო – გუნდურში.

ზაალიშვილმა იაპონელს პირველივე შეხვედრაში მოუგო, რაც მისთვის ფინალის ტოლფასი იყო – გოლიათი **ტაცურო საიტო** (160 კილოგრამზე მეტს იწონიდა) უკნიდან გამოცელა და იპონზე დააგდო, მერე კი მას გუნდურზე კიდევ ერთხელ მოუგო. თუმცა ზაალიშვილს ფინალშიც უძლიერესი მეტოქე ჰყავდა – ავსტრიელი **სტეფან ჰეგი**, რომელიც შარშან ბუდაპეშტში, უფროსთა მსოფლიო ჩემპიონატზე თვით იაპონელთა ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ჰისაიოში ჰარასავა** დაამარცხა, ხოლო წლევანდელ ევროპირველობაზე ასევე უფროსებში მესამე იყო. ის ახალგაზრდებში ევროპისა და მსოფლიოს შარშანდელი ფინალისტია და ორივეჯერ რუს **ინალ ტასოევთან** წააგო, ახლა კი, მის არყოფნაში, ოქროზე იყო დაგეშილი. თანაც, სტატისტიკაც მის მხარეს იყო – სამი შეხვედრიდან ბოლო ორი მოუგო ზაალიშვილს: 2015 წელს, თბილისში, ბავშვთა ოლიმპიურ ფესტივალზე და შარშან, ევროპის ახალგაზრდულ პირველობაზე დაამარცხა. საბედნიეროდ, ამჯერად ზაალიშვილმა შეძლო ამ სტატისტიკის შეცვლა: თავიდანვე აქტიურად, დაზვერვის გარეშე შეუტია ჰეგის და წუთნახევარში ზედა ჩავლებიდან გამოცერა, რაც ვაზარი იყო, თუმცა იქვე შებოჭა კიდეც. გონგის შემდეგ ჰეგიმ ხელი აუწია ჩვენებურს, რაც ბევრის მთქმელი ჟესტია.

გუნდურში ჩვენები მეხუთეზე გავიდნენ, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ერთ წონაში მონაწილე არ გვყავდა, ურიგო შედეგი არც ესაა. სამწუხაროდ, 70 კილოგრამში პირად პირველობაში, ხელი იტკინა ევროპის წლევანდელმა მედალოსანმა, **მარიამ ჭანტურიამ** და ველარც გუნდურში, რომელიც შერეული პრინციპით ტარდება, შეძლო ასპარეზობა. ამის მიუხედავად, ჩვენებმა მაინც შეძლეს საფრანგეთის ძლიერი ნაკრების დამარცხება – 5:3, მერე კი ჯერ იაპონიასთან წააგეს – 1:6 (ორი პაექრობა ფრედ დასრულდა), ბოლოს კი რუსებთან 2:3 დამარცხდნენ.



# ონელობა და გობეჯიშვილობა

ონში ჩატარდა თავისუფალ ჭიდაობაში იქაურთა სახელოვანი ფალავანის, მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიურ ჩემპიონ **დავით გობეჯიშვილის** სახელობის საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდებში – 1999-2001 წლებში დაბადებულთა შორის. ამჯერად მასში, უცხოელთაგან, აზერბაიჯანის ორი და რუსეთის ერთი გუნდი მონაწილეობდა, ხოლო საქართველო თითქმის ყველა რაიონით იყო წარმოდგენილი. შეჯიბრება დაემთხვა სახალხო დღესასწაულ „ონელობას“, რომელშიც სპორტსმენებმაც მიიღეს მონაწილეობა, ამან კი შეჯიბრებას თავისი ხიბლი შესძინა. ცხადია, ტურნირს თავად დავით გობეჯიშვილიც ესწრებოდა, ასევე, ჩვენი ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელები და სხვა საპატიო სტუმრები.

ონის სპორტსკოლაში 150-ზე მეტი მონაწილე მოგროვდა. უნდა აღინიშნოს აზერბაიჯანის გუნდი, რომელიც ძლიერი შემადგენლობით ჩამოვიდა და გუნდური მეორე ადგილიც დაიკავა, პირველობა კი თბილისმა მოიპოვა, ხოლო მესამეზე აჭარა გავიდა. დავით გობეჯიშვილის სახელობის პრიზი ონელთა ერთადერთ ჩემპიონს, ჭაბუკებში მსოფლიო ჩემპიონ **მირიან მაისურაძეს** (86) გადაეცა, თუმცა სპეციალისტთა მოწონება ყვარლელმა **ბესიკ სეფაშვილმა** (57), საჩხერელმა **ოთარ ბაგაურმა** (70), ქუთაისელმა **ბაგრატ გაგნიძემ** (74), თბილისელმა **როლანდ მანაშვილმა** (92) და სხვებმაც დაიმსახურეს.

მათ გარდა, ჩემპიონები გახდნენ: **თორნიკე ქათამაძე** (61; აჭარა), **ელმინ კაზიმოვი** (65; აზერბაიჯანი), **ევსემი შველიძე** (79; ხარაგაული), **ელგუჯა ბალანჩივაძე** (97; სამტრედია) და **ალექსი ჰუსაროვი** (125; რუსეთი).

# უფროსი ძმის კვალზე

იმ დროს, როცა უფროსი ძმა – გორელი მძიმეწონოსანი **გენო პეტრიაშვილი** მეორედ ხდებოდა მსოფლიო ჩემპიონი, მისმა უმცროსმა ძმამ – **კონსტანტინე პეტრიაშვილმა** სომხეთში, ვაგან ზატიკიანის ხსოვნის ტურნირში, გაიმარჯვა. მასვე გადაეცა ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოჭიდავის პრიზი. აქვე შეგახსენებთ, რომ კოტემ, სომხეთში წასვლამდე, ამბროლაურშიც იმარჯვა **გურამ საღარაძის** სახელობის საერთაშორისო ტურნირში.

2006-2008 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ამ ტურნირში გორის ნუგზარ სხირელის სახელობის კლუბი გამოდიოდა, რომელსაც თან ერთი ქარელელი მოჭიდავეც ახლდა და მანაც წარმატებით იასპარეზა. ჩვენებურთა სომხური მონაგარი 8 მედალია – 5 ოქრო, 1 ვერცხლი და 2 ბრინჯაო. ჩემპიონები გახდნენ: **თეიმურაზ თუთარაშვილი** (23), **გიორგი მაისურაძე** (26), **საბა ტყემალაძე** (29; სწორედ ესაა ქარელელი), **ზურაბ აბალაკი** (32) და **კონსტანტინე პეტრიაშვილი** (42). **ნიკოლოზ მაისურაძე** (38) მეორეზე გავიდა, მესამე პრიზიორები კი **გიორგი წურიაშვილი** (35) და **საბა ჭულუხაძე** (42) გახდნენ.



# ქართული წყვილი ფინალში

ფიგურულ ციგურაობაში საქართველოს საკმაოდ მდიდარი ისტორია აქვს, თუმცა პირველად მოხდა, როცა წყვილთა შორის „დიდი პრიზის“ ფინალში გავედით. ეს **მარია კაზაკოვამ** და **გიორგი რევიამ** შეძლეს, რომლებმაც წარმატებით იასპარეზეს ამ რანგის ორ ტურნირში, სადაც ვერცხლის მედლები მოიპოვეს და ფინალის საგზურიც მიიღეს. ფინალში სულ ექვსი წყვილი იასპარეზებს: სამი რუსეთიდან და თითო საქართველოდან, კანადიდან და ამერიკიდან. არადა, საკვალიფიკაციო შეჯიბრებებში 24 ქვეყნის 65 წყვილი მონაწილეობდა.

საკვალიფიკაციო ეტაპზე სულ 7 ტურნირი ჩატარდა, თუმცა, ჩვენები მხოლოდ ორში გამოვიდნენ – ჩეხურ ოსტრავასა და ერევანში. როგორც გითხარით, მათ ორივეგან ვერცხლის მედლები მოიპოვეს და 6-9 დეკემბერს, კანადის ქალაქ ვანკუვერში, ფინალურ ტურნირში იასპარეზებენ.



რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე


11 ლარი

### სასწავლო პროექტები
წიგნში მოცემული ნიმუშები დაეხმარება მასწავლებელს, გაეცნოს სხვადასხვა საგნებში შექმნილ სასწავლო პროექტებს. ახსნილია პროექტის სტრუქტურა და გაწერილია რეკომენდაციები, როგორ უნდა შეიქმნას თითოეული სტრუქტურული ერთეული. მასალის გამოყენებით, მას შეუძლია დაგეგმოს სასწავლო პროექტი ამა თუ იმ საგანში.



### ქართული I-VI კლასები
წიგნი შექმნილია მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისად და დაეხმარება I-VI კლასების მასწავლებლებს, წარმატებით ჩააბარონ საგნობრივი გამოცდა.

11 ლარი



### პროფესიული უნარები
დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა საგნის მასწავლებლისთვის

15 ლარი


15 ლარი

### ტესტების კრებული მასწავლებლებისთვის პროფესიულ უნარებში
წიგნი მოიცავს ტესტების შესრულების ინსტრუქციას, ტესტებს პასუხებით და ტერმინების განმარტებით ლექსიკონს. ტესტები სრულად მოიცავს საგამოცდო პროგრამას.

### მასწავლებლის სამუშაო რვეული

4 ლარი

### ინტერაქტიური მეთოდების კრებული

6 ლარი

### კათედრის გამგის პორტფოლიო

6 ლარი

### მასწავლებლის კალენდარი

5.50 ლარი

### ცნობარი დაწყებითის პედაგოგებისთვის

14 ლარი

### ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

6.50 ლარი

**მასწავლებლის ბიბლიოთეკა**

## მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის
კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing
ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩააბაროთ როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.




თითო კრებულის ფასი – 10.90 ლ

## არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგებისთვის



პროფესიული უნარების გამოცდისთვის მოსამზადებლად
ფასი – 9 ლარი




## ნამდვილი და მოგონილი ამბები
სერია შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.


სერიის ფასი – 32.40ლ

## ქართული ენის კრებულები
ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.


სერიის ფასი 17.70 ლ

## „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობთ

15 ლარი

**ეროვნული გამოცდების სიმულაცია**
გიორგი მეჭურჭლიშვილი, არჩილ თაბუკაშვილი, კონსტანტინე ბარამია


19 ლარი (ერთი ცალი)

**გავიმეოროთ მათემატიკა**
წიგნი დაწერილია აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დალაგებულია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გეომეტრიის, ანალიზის, ალგებრისა და სტატისტიკის საკითხები.


ქართული ენის გრამატიკა სინტაქსი (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე
7 ლარი


ქართული ენის გრამატიკა მორფოლოგია (სასკოლო კურსი) ნ. შარაშენიძე
8 ლარი


თამაზ ვასაძე ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი


თამაზ ვასაძე კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
12 ლარი


**ბიოლოგია** საატესტატო გამოცდისთვის ლ. ბურდულაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. მღებრიშვილი
6 ლარი


**ფიზიკა** საატესტატო გამოცდისთვის ქ. ტატიშვილი, ზ. ჯერია
10 ლარი


თამარ ბერიძეაშვილი ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
10 ლარი

## „ახალი განათლებისა“ და „დიოგენეს“ ერთობლივი აქცია სკოლებისთვის
ბოლო წლების საერთაშორისო ბესტსელერი, ყველაზე პოპულარული საბავშვო შემეცნებითი წიგნი „რუკები“ 2012 წელს შეიქმნა პოლონეთში და მოიცავს ეთნოგრაფიულ, გეოგრაფიულ, ზოოლოგიურ, ბოტანიკურ, ზოგადკულტურული ხასიათის ინფორმაციას მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შესახებ.




„რუკები“ უნიკალურია, კარგად გააზრებული იდეისა და დახვეწილი შესრულების თვალსაზრისით. ამ წიგნს იყენებენ როგორც სასწავლო-პედაგოგიურ გარემოში, ისე ოჯახში სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა მიერ ერთობლივი კითხვისთვის. „რუკების“ მასალის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა თამაშებისა და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა.

55 დიდი რუკა 46 ქვეყანასა და 6 კონტინენტს მოიცავს. ყოველ რუკაზე უამრავ საინტერესო ილუსტრაციას და მნიშვნელოვან ფაქტს აღმოაჩენთ და აუცილებლად მოგინდებათ კიდევ უფრო მეტის გაგება.

დიოგენე

## ტესტები ქართულ ლიტერატურაში
### საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის


წიგნი I
V-XVIII საუკუნეების მწერლობა

წიგნი II
XIX საუკუნის მწერლობა

წიგნი III
XX საუკუნის მწერლობა

*თითო ტომის ფასი 13 ლარი*

## ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73,
032 295 80 23

ახალი განათლება
მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი
მისამართი: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. №126, სართული II, ოთახი №14
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.akhaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com
რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“
ს/კ 202058735, ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.
ISSN 2233-386X
9 772233 386008 >
ფასი – 1 ლარი 90 თეთრი